ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ივანიშვილი: „ნაციონალები ვეღარ „იბლატავებენ“



გვ.6

4 ოქტომბრიდან

ღვინის დაგემოვნება

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 2016 №235 (7161) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ მაჭავარიანი: „9 ოქტომბერს მილოცვებს ველოდებით“



გვ.2

„არანაირი არეულობის და მაიდნის მოწყობას არ ვაპირებთ“



„თითო-თითოდ გვყავს დათვლილი, ვინც ფიქრობს არეულობაზე“

## „1.500 ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი საქართველოში არეულობის მოსაწყობად მზადაა“



გვ.4

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაციონალები ციხეებში პროვოკაციების მოწყობას აპირებენ“



## ირაკლი სესიაშვილი: „დესტაბილიზაციის მცდელობაც კი ნაციონალებისთვის ხარაკირი იქნება“



გვ.3

## ირაკლი ბათიაშვილი: „სააკაშვილმა იცის, რომ ხელისუფლებას რევოლუციით ვერ შეცვლის“



გვ.3



გვ.2

## ირაკლი ოქრუაშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადება ცინიკური იყო“

„პოლიციისთვის წამზომი ჩართულია“





ნიკა გვარამია: „შალვა რამიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ ფასიან მომსახურებას გვთავაზობდა“



გვ.4

## შალვა რამიშვილი: „რუსთავი 2-მა ჯიეფკას შედეგები გააყალბა“



გვ.5

ლალი აფციაური: „ნაციონალები ყველანი ციხეში უნდა იყვნენ“

## ანზორ აბრალავა: „ეგზიტპოლები იარაღია რევოლუციისთვის“



გვ.5

ISSN 1987-9385

# მიხეილ მაჭავარიანი: „9 ოქტომბერს მილოცვებს ველოდებით“

შორენა მარსაგიშვილი

## „არანაირი არეულობის და მაიდნის მოწყობას არ ვაპირებთ“

რას ელოდებიან ნაციონალები, რა დირექტივა მისცეს 5 ოქტომბრის აქციის მონაწილეებს, როგორ აპირებენ ხმების დაცვას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **მიხეილ მაჭავარიანი** ესაუბრება.

***– ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნოდ კიდევ ერთი პროგნოზი გააკეთა, მისი აზრით, ნაციონალები მომავალ პარლამენტში 5-10 კაცის გაყვანას შეძლებთ და მართლა ასე ცუდად გაქვთ საქმე?***

– ამაზე რა უნდა ვთქვა? დათვალა ვინმემ, რამდენი ტყუილი თქვეს მან და მისმა თანაგუნდელებმა? ივანიშვილის ეს განცხადება ძალიან წააგავს ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომელმაც თქვა, ნაციონალები რადარებიდან გაქრნენო. ვინ გაქრა რადარებიდან, კარგად ვნახეთ.

არჩევნებთან დაკავშირებით ერთი, ძალიან მარტივი ტესტი მაქვს. „ქართული ოცნება“ 2014 წელს ბევრად უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ახლა არის. მაშინ, თვითმმართველობის არჩევნებზე საქართველოს მასშტაბით 50% აიღო პირველ ტურში. ნაციონალებმა საქართველოს მასშტაბით 28% ავიღეთ.

ბიძინა ივანიშვილი ბოლო პერიოდში ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებს. ჯერ თქვა, ნაციონალებს რამდენიმე ასეული ათასი მხარდამჭერი ჰყავთ და არჩევნებზე 30%-ს აიღებენო. მერე კობახიძე გამოვიდა და თქვა, ბატონ ბიძინას ასე არ უთქვამსო.

მერე საუბარი დაიწყო ფორუმზე, თავისუფალ დემოკრატებზე, რესპუბლიკელებზე. მოკლედ ის ჩააგდო, რუსეთში რაზვოდს რომ ეძახიან. თავისი ჭკუით ჩვენ და თავისუფალი დემოკრატები დაგვაჯახა.

***– ამბობს, რომ არჩევნებში მეორე ადგილს სწორედ ეს პარტია დაიკავებს.***

– ხომ გითხარით, ჩვენი დაჯახება უნდა. „ქართული ოცნების“ ერთადერთი ალტერნატივა არის ნაციონალური მოძრაობა. ამის მიუხედავად, მოვუწოდებთ ოპოზიციას, ერთად დავამარცხოთ „ქართული ოცნება“, რომელსაც სინამდვილეში ქართული ტყუილი უნდა ერქვას.

ძალიან სიმბოლური იყო, რომ ივანიშვილის 3 ოქტომბრის შეხვედრას მხოლოდ 2 ჟურნალისტი ესწრებოდა. ბატონი ბიძინა თავის წვენში იხარშებოდა და, როგორც უკვე გითხარით, ამ ერთი თვის მანძილზე ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადება გააკეთა.

***– მან ჩააზუსტა, რომ ბოლო დასკვნა, რომ მხოლოდ 5-10 კაცის გაყვანას შეძლებთ, ბოლო 2 კვირის მანძილზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე გააკეთა.***

– კაი, გეხვეწები, რაის ორი კვირა, რა მოხდა ამ ორ კვირაში ასეთი. იმ სულელური ჩანაწერების იმედი თუ აქვთ, ახლახან რომ გაავრცელეს, ძალიან ცდებიან. ეს ამბავი ივანიშვილის წერილის ამბავს მაგონებს. მაისში ყოფილმა პრემიერმა წერილი გამოაქვეყნა. გამოვიდა ზურაბ ბიგვავა და თქვა, ბატონი ბიძინას წერილის შემდეგ „ოცნების“ რეიტინგმა აიწია და ნაციონალებისამ დაიწიაო. ამის დასადასტურებლად ხელისუფლებამ თავისი კვლევები გამოაქვეყნა, რაც ჩემში დიდ ეჭვს იწვევს, ისევე, როგორც ტელეკომპანია იმედის ჩატარებული კვლევები.

***– იმედის კვლევა რატომ იწვევს ეჭვს, ნაციონალებს რადგან არ გაქვთ მაღალი პროცენტები?***

– არა, ამ კვლევებში ბატონი ბიძინა უფრო კარგად ერკვევა, ვიდრე იმედი. ივანიშვილმა დეტალურად ახსნა, საიდან რა მოდის. ამიტომაც ვერ ჩავთვლი ამას იმედის კვლევად და ძალიან გული მწყდება, რომ ეს ტელეკომპანია ხელისუფლების რუპორად იქცა. ამას მაყურებელიც ხვდება და ამიტომაც არის, რომ მის კონკურენტ ტელევიზიას ორჯერ მეტი მაყურებელი ჰყავს.



***– ეს კონკურენტი ტელევიზია ნაციონალური მოძრაობის რუპორად არის მიჩნეული.***

– მერე რა მოხდა. დაე, ასოცირდებოდეს რუსთავი 2 ჩვენთან. რაიმე ტყუილს ავრცელებენ თუ რა ხდება? საბოლოო ჯამში, ხალხი წყვეტს, ვის უყუროს.

***– მოდით, იმედს და რუსთავი 2-ს თავი დავანებოთ და ისევ პროგნოზებს დავუბრუნდეთ. თქვენ არ გვიპასუხეთ, მართლა 5-10 კაცს თუ შეიყვანთ პარლამენტში?***

– არჩევნები 4 დღეში ტარდება და, როგორც იტყვიან ხოლმე, აბანოში გამოჩნდება თეთრი და შავი. რა 5-10 კაცი, ხალხო, ბნელა? ქუჩაში დავდივართ და ვხვდებით ხალხის განწყობას. ყველა არჩევნებზე უკეთეს შედეგს ვდებთ და არც ახლა იქნება გამონაკლისი. თან არ დაგავიწყდეთ, როგორ დაეცა ხელისუფლების მიმართ ნდობა. ამის გარდა, ჩვენმა მაჟორიტარობის კანდიდატებმა და საარჩევნო სიის წევრებმა ძალიან მაგარი წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარეს. ჩვენი პროგრამის პრეზენტაციები და მიტინგები მართლაც საუკეთესო იყო.

***– მიტინგი ახსენეთ და 5 ოქტომბერს რას აპირებთ? ხელისუფლება ამბობს, რომ არეულობას აპირებთ და რაღაც პროვოკაციებს გეგმავთ, მართალია?***

– არაფერსაც არ ვაპირებთ. 5 ოქტომბრის აქცია ისეთივე იქნება, როგორც აქამდე ჩატარებული აქციები. როგორც სხვა დროს შევკრებილვართ და დავშლილვართ, ახლაც ასე იქნება.

ჩვენ ვართ ოპოზიცია, რომელიც ჩვენი ოპონენტებისგან განსხვავებულ აქციებს და მიტინგებს მართავს.

***– ეს განსხვავება რაში გამოიხატება?***

– ჩვენი აქციების დროს არც ერთი შუშა არ გატეხილა და არავის მისდგომია ზიანი. არც კონფლიქტებს ჰქონია ადგილი. 5 ოქტომბერს შევიკრიბებით, 16 საათზე ვარდების მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე მსვლელობას დავიწყებთ და 18 საათისთვის ყველაფერს დავამთავრებთ.

ჩვენ ჩვენი მხარდამჭერები უნდა გავუშვათ სამუშაო ადგილებში. მოგეხსენებათ, ხალხი რაიონებიდანაც ჩამოდის და მათაც უნდათ სახლებში წასვლა. თან დასვენებაც საჭიროა, 8 ოქტომბერს მათ ადგილებზე ჩვენი ხმები უნდა დაიცვან. აუცილებლად უნდა დაიცვან, იმიტომ, რომ ამ არჩევნების მოგების კარგი შანსი გვაქვს.

***– ხმების დაცვაში რას გულისხმობთ?***

– ხმების დაცვა იმას ნიშნავს, რომ უბნებზე იყვნენ ჩვენი წარმომადგენლები. არის რაიონები, სადაც კომისიებში მარტო ვართ.

***– რას ნიშნავს მარტო ხართ, დანარჩენი ოპოზიცია სად არის?***

– კომისიებში წევრები ჰყავთ რესპუბლიკელებს, თავისუფალ დემოკრატებს და ნინო ბურჯანაძეს. საუბნო კომისიების დაკომპლექტებამ დაგვანახა, რომ ამ პარტიების წარმომადგენლები ხმას აძლევდნენ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს. ამან ჩვენში გააჩინა ეჭვები. ხმების დაცვა სწორედ ამის გაკონტროლებას ნიშნავს. ჩვენ უბნებზე წევრებიც გვყავს და დამკვირვებლებიც. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარდეს.

***– არჩევნების შედეგით უკმაყოფილების შემთხვევაში რას აპირებთ, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ არეულობა გაქვთ გეგმაში.***

– ჩვენ ვართ ერთადერთი პარტია, რომელმაც გამარჯვებულ პარტიას ანუ „ქართულ ოცნებას“ მიულოცა. ნაციონალებს, როგორც წესი, არავინ გვილოცავდა არჩევნების მოგებას – ზოგი მანდატებს ჭრიდა და ზოგი კედლებზე დარბოდა.

ჩვენ 2012 წელს დამარცხება ვაღიარეთ, 2013 და 2014 წლებში პირველებმა მივულოცეთ „ოცნებას“ გამარჯვება.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– იმის, რომ ახლა ჩვენ უნდა მოგვილოცონ.

***– რა უნდა მოგილოცონ, ჯერ ხომ არ იცით, იგებთ თუ არა არჩევნებს?***

– ხალხის განწყობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ. ყველას გასაგონად ვამბობ, რომ 9 ოქტომბრიდან მილოცვების მისაღებად მზად ვართ.

***– ასე დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?***

– დარწმუნებული ვარ.

***– თუ მილოცვების მისაღებად ემზადებით, კარვები და საბურავები რატომ მოიმარაგეთ. თქვენი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ რაღაც გეგმა გაქვთ.***

– რაღა დროს კარვები და საბურავებია. ეგ ყველაფერი ჭიკაიძემ გაიყოლა თან. ჩვენ თუ რამისთვის ვართ მომზადებული, ეს არის მილოცვა.

***– არც ავტომაიდნის მოწყობას აპირებთ? რაღაც მანქანები ჰყავთ მზადყოფნაში.***

– სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ არც ერთი საბურავი და კარავი არა გვაქვს შეძენილი. არც ავტო და არც სხვანაირი მაიდნის მოწყობას არ ვაპირებთ.

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადება ცინიკური იყო“

შორენა მარსაგიშვილი

## „პოლიციისთვის წამმზომი ჩართულია“

ირაკლი ოქრუაშვილზე განხორციელებული თავდასხმა იმაზე სკანდალურ ელფერს იძენს, ვიდრე ეს თავიდან ჩანდა. გორის მაჟორიტარობის კანდიდატი ხელს კვლავ ხელისუფლებისკენ იშვერს. მას „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის განცხადებაც აეჭვებს.



საქმე ის გახლავთ, რომ ირაკლი კობახიძემ მაჟორიტარზე თავდასხმას, რომლის დროსაც 2 ადამიანი დაიჭრა, ინციდენტი უწოდა. თანაც დაამატა, ოქრუაშვილი ამას პოლიტიკურ შეფერილობას მისცემსო. აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარობის კანდიდატს იმ მომენტისთვის განცხადება ჯერ არც კი ჰქონდა გაკეთებული.

– კობახიძემ არაფერი იცოდა, ნახევარი საათით ადრე რა განცხადებას გავაკეთებდი. მან წინასწარვე დააანონსა, რომ მე ამას პოლიტიკურ სარჩულს დავუდებდი და ცოტა ეჭვის შემქმნელია მისი ასეთი ვარაუდები. არ უნდა ვიმკითხაოთ და მითქმა-მოთქმას არ უნდა ავყვეთ, ეს ერთი. მეორე – მისი ეს განცხადება იყო საკმაოდ ცინიკური, საკმაოდ უპასუხისმგებლო, არასახელმწიფოებრივი.

ორი ადამიანი იყო დაჭრილი მათი აქტივისტების მონაწილეობით, მათი აქტივისტების ინსპირირებით, მათი აქტივისტების მიერ ამ კრიმინალების შეგულიანებით. მე შემთხვევით არ მომიტანია „ქართული ოცნება“ არსაიდან. მათი აქტივისტები მონაწილეობდნენ ამ ყველაფერში და ეს ყველაფერი დაბრალდა „ქართულ ოცნებას“ და არა სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, – აღნიშნა რუსთავი 2-თან საუბარში ოქრუაშვილმა.

ბოლო პერიოდში ოქრუაშვილს მეოცნებეებთან საკმაოდ თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. მართალია, კახა კალაძესთან დაპირისპირებულია, მაგრამ პარტია „ქართულ ოცნებას“ ღიად უჭერს მხარს. ის თავის მომხრეებსაც მოუწოდებს, არჩევნებზე ხმა „ოცნებას“ მისცენ.

ერთ-ერთი ვერსიით, ოქრუაშვილზე თავდასხმა რუსთავი 2-ის საქმეს უკავშირდება. მან რამდენიმე კვირის წინ სკანდალური დოკუმენტი გაასაჯაროვა, რომლის წყალობითაც ბევრი რამე შეიცვალა.

თავად ოქრუაშვილი ამ ეტაპზე რუსთავი 2-ს არ უკავშირებს თავდასხმას. ამასთან, არ გამორიცხავს, რომ ეს ვერსიაც განავითაროს.

– მე რუსთავი 2 დიდი ხანია გადაფორმებული მაქვს სხვა ადამიანზე, რომელიც გერმანიის მოქალაქეა, მაგრამ თუ აღმოჩნდება ისე, რომ ვინმე ალექსანდრე ინდუაშვილი სადმე გარდაცვლილი იპოვეს, შეიძლება ეს ვერსიაც განვითარდეს, – ამბობს ოქრუაშვილი.

ალექსანდრე ინდუაშვილი ის პიროვნებაა, რომელმაც მაჟორიტარობის კანდიდატს ცეცხლი გაუხსნა.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თავდამსხმელების ვინაობა მაშინვე დაასახელა. მისი განცხადებით, კრიმინალური ავტორიტეტი ალექსანდრე ინდუაშვილი ცხინვალში აპირებდა გადასვლას.

მან პოლიციას თავდამსხმელის დაკავებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. მისივე თქმით, ვადა ხელისუფლებას 8 ოქტომბრამდე აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოქრუაშვილი ამბობს, რომ ის „საკუთარი წესებით“ იმოქმედებს.

– პოლიციისთვის წამმზომი ჩართულია, მე არ ვაპირებ ამ წამმზომის არც სწრაფ რეჟიმში გადაყვანას, მაგრამ მათ დრო ეწურებათ. ეს დრო ლოგიკურად არის საარჩევნო დღემდე. თუ საარჩევნო დღეს ეს ადამიანი არ იქნება დაკავებული, ეს იქნება მკაფიო გზავნილი ამ კატეგორიის სხვა ადამიანების მიმართ, რომლებიც ჩართულები არიან საარჩევნო პროცესში „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომ ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ თუ ეს ყველაფერი მათთვის კარგად იქნება, მე შეიძლება ვიმოქმედო ჩემი წესებით, ჩემი რესურსებით მათ წინააღმდეგ, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

* * *

სანამ სამართალდამცავები ინდუაშვილს დასდევენ, გორში კიდევ ერთ პოლიტიკურ დაჭრას ჰქონდა ადგილი.

ეს ინციდენტიც 2 ოქტომბერს მოხდა, მაგრამ ის მხოლოდ გუშინ გასაჯაროვდა. გავრცელებული ინფორმაციით, სოფლის გამგებელმა დეპუტატი დაჭრა.

როგორც პაატა ბურჭულაძის გორის მაჟორიტარობის კანდიდატი მედეა აბაშიძე აცხადებს, დაჭრილია სოფელ მეჯვრისხევისა და ახალუბნის საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ლექსო ბუჯიაშვილი.

აბაშიძის ცნობით, ბუჯიაშვილი თანაგუნდელმა, სოფლის გამგებელმა გიორგი ტატიაშვილმა დაჭრა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი სესიაშვილი: „დესტაბილიზაციის მცდელობა კი ნაციონალებისთვის ხარაკირი იქნება“

## „თითო-თითოდ გვყავს დათვლილი, ვინც ფიქრობს არეულობაზე“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, **ირაკლი სესიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა კვლავ იფიქრებს რევოლუციურ სცენარზე, მაშინ მას სახელმწიფო ადეკვატურ პასუხს გასცემს.

***— ბატონო ირაკლი, ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ის 8 ოქტომბრის არჩევნებს იგებს, რადგან მისი რეიტინგი 30%-ია. თუმცა, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე დაბალია. ასევე საუბარია ამ კვლევების გაყალბებაზე. თქვენ, როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენელი, რას უპირისპირებთ ნაციონალური მოძრაობის ამ მესიჯებს?***

— ეს არის ნაციონალური მოძრაობის რევოლუციური მესიჯი. ეს არის აბსოლუტური სისულელე და ამ რეიტინგს რეალობასთან კავშირი არ აქვს. ამის თავადაც არ სჯერათ, მაგრამ ასეთი რიტორიკა მათ აწყობთ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს სხვებსაც დააჯერონ, პირველ რიგში კი — საკუთარ თავს. თუმცა, კარგად უნდა იცოდნენ, რომ არაფერი არ გამოუვათ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მათი მცდელობა ფუჭია. რაც შეუძლია ნაციონალურ მოძრაობას, ეს ჩვენ ყველამ ერთად კარგად ვნახეთ. მათი მმართველობა თავიდან ბოლომდე დამყარებული იყო ტყუილსა და პროპაგანდაზე. რუსთავი 2 არის მათი პროპაგანდის მანქანა, რომელსაც სიცრუის ტირაჟირებისთვის იყენებენ. სხვა არანაირი რესურსი ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს.

როგორ შეიძლება ნაციონალურ მოძრაობას რამე რესურსი გააჩნდეს, როდესაც მათ ქვეყანა ერთ დიდ ციხედ გადააქციეს, როდესაც ადამიანებს აწამებდნენ, ბიზნესი გააუპატიურეს, მედია, სასამართლო წიხლქვეშ გაიგდეს.

***— ისინი განახლებაზე აკეთებენ აქცენტს.***

— ეს არის ბლეფი. ეს არის ისეთივე სიცრუე, როგორც გვითხრეს, რომ 30% მხარდაჭერა აქვთ.

***— თუმცა, ისინი მეორე პოზიციას ინარჩუნებენ, ეს როგორ ხდება?***

— ეს არის ის მხარდამჭერები, რომლებსაც მთელი ამ წლების განმავლობაში აჭმევდნენ და ასმევდნენ. ამის გარდა, მათ რესურსი არ აქვთ. მინიმუმ რაც შეიძლება ნაციონალურმა მოძრაობამ ამ არჩევნებზე გააკეთოს, არის ის, რომ მისი ცნობილი მხარდამჭერები შეინარჩუნოს, თუ, რასაკვირველია, მათაც არ დაეზარათ არჩევნებზე წასვლა.



***— რევოლუციური სცენარი კვლავ აქტუალურია ამ ყველაფრის შემდეგ?***

— მე იმედი მაქვს, რომ თუ მინიმუმ კანონმორჩილნი არ არიან, კანონის ეშინიათ მაინც და მშვენივრად იციან, რომ ყველაფერს ვაკონტროლებთ. თითო-თითოდ გვყავს დათვლილი, ვინც ფიქრობს არეულობაზე და იმ სცენარის განხორციელებაზე, რასაც დესტაბილიზაცია ჰქვია. თუ მსგავსი მცდელობები ექნებათ, მიიღებენ ადეკვატურ პასუხს. ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის ხარაკირი და კიდევ ერთი ნათელი სურათი, თუ რას წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა.

***— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, კვლავ განიხილება რევოლუციური სცენარი?***

— რევოლუციური სცენარი კვლავ განიხილება, მათ ეშმაკი ჰყავთ შეჩენილი. ეს არის ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ცხოვრების თანმდევი. სწორედ ამისთვის სჭირდებათ სიცრუის ტირაჟირება, რომ თქვან, რომ არჩევნები გაყალბდა და შემდეგ სისრულეში მოიყვანონ ის სცენარი, რომელსაც ასე მძაფრად განიხილავენ, მაგრამ არაფერი არ გამოუვათ. ეს იციან მშვენივრად.

***— სხვა პარტიები აცხადებენ, რომ არჩევნების ორპარტიულ ჭრილში გადაყვანა აწყობს როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას. როგორია თქვენი არგუმენტი, რას ეუბნებით იმ პარტიებს, რომელთაც ასეთი განცდა აქვთ?***

— ჩემი არგუმენტი მათ მიმართ არის ის, რომ მე ვერ ვხედავ ვერსად მათ აქტიურობას. ეს არ არის ჩვენი ბრალი. მე თელავსა და ყვარელში ვიყრი კენჭს, ახლა, როდესაც ინტერვიუს ვწერთ, ამომრჩეველთან მივდივარ შესახვედრად, მაგრამ არსად არ შემხვედრია სხვა არც ერთი პარტიის წევრი, ჩემი კონკურენტი.

***— რატომ, მათ არ აქვთ წინასაარჩევნო კამპანია?***

— მე არ ვიცი, რატომ, მე ვიცი, რომ მათი აქტიურობა არის ნაკლები. არ მინახავს, რომ ჩემი კონკურენტი ესაუბრებოდეს ამომრჩეველს, ღონისძიებას მართავდეს, არც ერთი მათგანი არ მინახავს, გარდა მათი პლაკატებისა.

***— თქვენი განწყობა როგორია ამ არჩევნების მიმართ?***

— ერთადერთი განწყობა მაქვს, რომ 8 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ გარდაუვლად მოიგებს არჩევნებს.

# ირაკლი ბათიაშვილი: „სააკაშვილმა იცის, რომ ხელისუფლებას რევოლუციით ვერ შეცვლის“

ნონა ცაბაძე

უშიშროების ექსმინისტრი, **ირაკლი ბათიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.

***— ბატონო ირაკლი, ბოლო დღეებია, მიდის საუბარი, რომ სააკაშვილს ჩეჩენ მებრძოლებთან აქვს მოლაპარაკება იმისთვის, რომ ქვეყანაში სიტუაცია არიოს. რა ინფორმაციებს ფლობთ, როგორია თქვენი შეფასებები?***

— მე ამ თემაზე არაერთხელ მილაპარაკია. ჯერ კიდევ ძალიან ადრე, როცა არავინ ლაპარაკობდა. ყოველთვის ვაფრთხილებდი ხელისუფლებას, რომ სააკაშვილი და მისი ვიწრო გარემოცვა, რომელიც არ იმყოფება საქართველოში, მუშაობდნენ თავიანთ ავანტიურისტულ გეგმაზე, რომელიც ეხება სიტუაციის დესტაბილიზაციას საქართველოში და ძალისმიერი გზით ხელისუფლების დამხობას.

***— დიდი ხანია მიდის ამ გეგმაზე მუშაობა?***

— ამ გეგმაზე დღეს და გუშინ არ დაუწყიათ მუშაობა, სახელდახელოდ და ფაცი-ფუცში არ დაუწყიათ. ისინი კარგა ხნის განმავლობაში, თითქმის ნახევარი წლის, უფრო მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ ამ გეგმაზე. ამ გეგმაზე სააკაშვილი არ ლაპარაკობს არც ვაიბერით და არც სხვა საშუალებებით. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ეს ჰქონდეთ გასაიდუმლოებული.

***— რაც ჩანს, რა ჩანაწერებიც არსებობს, ის კიდევ სხვაა? ამის უკან კიდევ იმალება რამე?***

— სააკაშვილი მის რეალურ გეგმებზე არ ლაპარაკობს არც ვაიბერით და არც ვოტსაფით. მაგდენი ჭკუა ჰყოფნის. რასაც ის ელაპარაკება ბობოხიძეს თუ ნუგზარ წიკლაურს, ეს სააკაშვილს სჭირდება ფონისთვის.

***— რა ფონისთვის?***

— რომ აქ რაღაც ფონი შეიქმნას, ვითომდა საზოგადოებრივი მღელვარების, უკმაყოფილების, ვითომდა არჩევნების შედეგების გაყალბების. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ რევოლუციური სცენარით, საერთო სახალხო მღელვარებით ვერ შეცვლის ხელისუფლებას. ნაციონალური მოძრაობა არ სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით. ამიტომ მათ სჭირდებათ იმიტაცია მღელვარების. მაქსიმუმ მათ თავი მოუყარონ 10 ათას კაცს, ესეც გადამეტებულია და გააკეთონ არეულობის ინსცენირება. სწორედ ამ ფონზე უნდათ მოქმედებაში მოიყვანონ ის რეალური გეგმები, რაც მათ აქვთ.

***— და რა არის მათი რეალური გეგმა?***

— ეს გეგმა ითვალისწინებს ძალისმიერ მოქმედებებს. სააკაშვილს გათვლები აქვს იმაზეც, რომ მათ საქართველოში, 2012 წლის არჩევნების წინ, მოახერხეს დიდი რაოდენობით იარაღის გადამალვა, არაერთი სამალავის შექმნა.

***— ძალოვანმა უწყებებმა აღმოაჩინეს სამალავები და ამას გულისხმობთ?***

— ამაზე რომ ვილაპარაკე, ძალიან მალე მოხდა ამ სამალავების აღმოჩენა. ეს კარგია, თუმცა ნაციონალებმა არაერთი ასეთი სამალავი შექმნეს 2012 წლის არჩევნების წინ. ზუსტად იმ პერიოდში, სანამ ხელისუფლებიდან წავიდოდნენ.

***— ანუ კიდევ არსებობს სამალავები?***

— რაც აღმოაჩინეს, ეს მცირედია იმასთან შედარებით, რაც არსებობს. სამალავი კიდევ ბევრია. გათვლა ნაციონალებს ზუსტად ამაზე აქვთ, რომ ეს იარაღი ადგილზე აქვთ. მეორე გათვლა აქვთ იმაზე, რომ არსებობენ ჯგუფები, რომლებიც მათ აღრიცხვაზე ჰყავდათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

***— ზონდერ ჯგუფებს გულისხმობთ?***

— ზონდერები კი არა, მებრძოლები! მათ ხელფასსაც უხდიდნენ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჰყავთ. აი ამათ მობილიზაციაზეც აქვთ გათვლა და ასევე სერიოზული გათვლა აქვთ საქართველოს არამოქალაქეებზე, რომლებსაც აქვთ საბრძოლო გამოცდილება, რომელთა გადმობირებაზეც სააკაშვილი კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდა უკრაინაში ყოფნის დროს და რომლებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლის პრობლემა არ აქვთ.



***— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად რეალურია საფრთხე მოსალოდნელ დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით?***

— დარწმუნებული ვარ, რომ მათ ავანტიურისტულ გეგმებს განხორციელება არ უწერიათ, სააკაშვილის ბნელი წარსული საქართველოში ვერ დაბრუნდება, ჩარხს უკან ვერავინ დაატრიალებს. ეს გამორიცხულია! ეს მათთვისვე დამთავრდება ცუდად, ვინც ამას გეგმავს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიყოთ გულარხეინად. მით უმეტეს, ის სტრუქტურები, რომლებსაც ეხებათ ამ ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ძალიან კარგია, რომ მუშაობენ, აღმოაჩინეს ეს სამალავები, მაგრამ გაცილებით მეტი და აქტიური მუშაობა მართებთ იმისთვის, რომ სრული პრევენცია მოხდეს რაიმენაირი დესტაბილიზაციის, რაიმე ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების. უფრო მეტი უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ტყვია არ გავარდეს ქვეყანაში! ტყვიის გავარდნა სააკაშვილს ვერ დააბრუნებს, მაგრამ ძალიან ცუდ შედეგებს მოგვიტანს და წლებით უკან დაგვწევს!

***— რა უნდა გააკეთონ სამართალდამცავმა უწყებებმა?***

— სამწუხაროდ, მათ აქამდე ვერ მოახერხეს ის, რომ გადაეკეტათ არალეგალური დაფინანსების არხები ნაციონალური მოძრაობისთვის. აბა დაფიქრდეს ყველა, რითი მარაგდება და იკვებება ნაციონალური მოძრაობა?!

***— რითი?***

— რითი და არალეგალური შემოსავლებით! ახლაც, როცა 5 ოქტომბრის მიტინგი აქვთ დანიშნული. ჯერ ძალა, რომელიც დესტაბილიზაციას გეგმავს, ასე მარტივად როგორ უნდა ახერხებდეს წინასწარი რეპეტიციის გათამაშებას. ამისთვის ხომ, ყველამ კარგად ვიცით, რომ საკმაოდ დიდი რესურსებია საჭირო?! ეს დაფინანსება მათ მოსდით ქვეყნის გარედან და ეს არხები დღემდე არ არის გადაკეტილი! ის, რომ გადაკეტილი არ არის დაფინანსების არხები, არის პირდაპირი პასუხისმგებლობა შესაბამისი სტრუქტურების.

***— 5 ოქტომბრის აქციაზე რას იტყვით? პროვოკაციებს ხომ არ ელოდებით?***

— 5 ოქტომბრის აქცია მათ სჭირდებათ ძალების მოსასინჯად. აინტერესებთ, რა რაოდენობის ხალხის მობილიზაციას შეძლებენ. ეს უნდა უჩვენონ თავიანთ ლიდერ სააკაშვილს და თავადაც აინტერესებთ, რა რაოდენობის ხალხს მოიყვანენ. ამ მხრივ მართლაც საინტერესოა და ჩვენც ვნახოთ.

# ნიკა რურუას შტაბის უფროსი დააკავეს



ნაციონალური მოძრაობის მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნიკა რურუას შტაბის უფროსი დავით ჯაფარიძე დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე თავად რურუა ავრცელებს. მისი თქმით, ჯაფარიძეს იარაღი ჩაუდეს.

— ისტერიკაში ჩავარდნილმა ივანიშვილმა ჩემი შტაბის უფროსი დავით ჯაფარიძე იარაღის ჩადებით დააკავებინა 2 ოქტომბერს გვიან ღამით. ამ უკანონობას ორი მიზანი აქვს: დააშინონ ჩვენი მომხრეები და დეზორგანიზება შეიტანონ ჩვენს მუშაობაში. ცხადია, რომ არც ერთ ამ მიზანს განხორციელება არ უწერია, — აცხადებს რურუა.

დაკავების ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც. ჯაფარიძე დაკავებულია 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

შსს-ში იარაღის ჩადებასთან დაკავშირებით რურუას ბრალდებას უარყოფენ.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „1.500 ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი საქართველოში არეულობის მოსაწყობად მზადაა“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაციონალები ციხეებში პროვოკაციების მოწყობას აპირებენ“

შორენა მარსაგიშვილი





რა პროვოკაცია მზადდება ციხეებში, ვის და რატომ მიანიჭა ყოფილმა ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეობა, რატომ უნდა დაწესდეს საზღვრებზე მკაცრი კონტროლი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– ყოფილი ხელისუფლება თავისი განცხადებებიდან გამომდინარე ქვეყანაში სერიოზული არეულობის მოწყობას აპირებს. ეს პროცესი შესაძლოა ციხეების თემით დაიწყოს. წინა ხელისუფლება ციხის ცნობილი კადრების გამოქვეყნების წყალობით შეიცვალა. ეს კადრები რომ არ გამოქვეყნებულიყო, ხელისუფლებაში ისევ ნაციონალები დარჩებოდნენ. ახლა ისინი ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ციხეში დესტაბილიზაცია მოხდეს.

ლადო ბედუკაძემ არაერთხელ განაცხადა, რომ ნაციონალები პატიმრების წამების კადრებს კამერით იღებდნენ. ეს ფირები დღემდე ნაციონალების ხელშია. არ არის გამორიცხული, ამ დღეებში გამოქვეყნდეს პატიმრების წამების ამსახველი კადრები და ისინი გაასაღონ, როგორც ახალი ამბავი.

***– რანაირად უნდა გაასაღონ, როგორც ახალი?***

– ისე გააკეთებენ, რომ ფირზე ასახული პირების იდენტიფიკაცია იქნება შეუძლებელი. არჩევნების წინ შემთხვევით არ დაძაბულა ქვეყანაში ვითარება და არც ისაა შემთხვევითი, მედია განსაკუთრებულ ყურადღებას რომ უთმობს ამ ფაქტების გაშუქებას. ამით ნაციონალები ცდილობენ, რომ გაამართლონ თავიანთი ჯალათური ქმედებები. იტყვიან, მიშას იმიტომ ჰქონდა ნულოვანი ტოლერანტობა გამოცხადებული, რომ ამ ქვეყანაში წესრიგის დამყარება არ შეიძლება. ციხეში წამების კადრების გამოქვეყნების შემდეგ კი იტყვიან, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უარესად ექცევა პატიმრებს. მათ სურთ საზოგადოებას უთხრან, რომ „ქართული ოცნება“ მათგან არაფრით განსხვავდება.

დიდი სურვილის მიუხედავად, მათ სასჯელაღსრულების სისტემაში დღემდე ვერ მოახერხეს არეულობის შეტანა. უწყებაში კახიშვილის მოსვლის შემდეგ იქ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ის ღამეც კი უწყებაში რჩება, რომ არაფერი მოხდეს.

ამ უწყებაში ასეულობით ადამიანია დასაქმებული. ფული ჯოჯოხეთს ანათებს და ნაციონალებმა რომ მოინდომონ, ვიღაცას მოისყიდიან. ის ვიღაც პატიმარს აწამებს, ან რამე უბედურებას ჩაიდენს და ამას ვიდეოზე გადაიღებენ.

მივმართავ ხელისუფლებას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ მიმართულებას. ასევე სერიოზული კონტროლის ქვეშ უნდა აიყვანონ ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელიც ამჟამად უკრაინაშია.

***– ლორთქიფანიძე აპირებს ციხეებში რაღაცის მოწყობას?***

– მას სხვა მისია აკისრია. ნაციონალებმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს მოქალაქეობა თურქებს და ჩრდილოკავკასიელებს მიანიჭეს. საუბარია რამდენიმე ათას ადამიანზე. ოფიციალური მონაცემებით, 2008-2012 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 11.000 პირს მიენიჭა.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება ამ ჩრდილოკავკასიელს უნდა მიაქციოს. საუბარია 1.500 ადამიანზე. საქართველოს მოქალაქეობის მიღებამდე ისინი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

***– მათ რატომ უნდა მიაქციონ ასეთი განსაკუთრებული ყურადღება?***

– არსებობს ძალიან სერიოზული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი ხელისუფლება ამ ადამიანების გამოყენებით აურევს საქართველოში სიტუაციას. ჩრდილოკავკასიელები, მოგეხსენებათ, როგორი „ნაკაჩავები“ და ნაბრძოლი ხალხია, ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან და არც შეკვეთილ მკვლელობებს მოერიდებიან. ბესო ხარძიანიც ჩრდილოკავკასიელმა ქილერმა მოკლა.

***– თქვენ ამბობთ, რომ ამასთან დაკავშირებით სერიოზული ინფორმაცია გაქვთ და ხელისუფლება რას აკეთებს ამ დროს. სპეცსამსახურები არ უნდა ფლობდნენ ამის შესახებ ცნობებს?***

– არ ვიცი, რა ინფორმაციას ფლობენ სპეცსამსახურები. მე ხმამაღლა ვაჟღერებ იმ ინფორმაციას, რომელიც საკმაოდ სერიოზულია, ამაზე ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იცოდეს, რომ სიტუაციის არევა არის ძალიან მარტივი. ამის ნათელი მაგალითი არის თურქეთი.

ამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადატრიალებას არ უჭერდა მხარს, მაგრამ აქ კინაღამ მოხდა მსგავსი ფაქტი. ხალხი ქუჩაში რომ არ გამოსულიყო, ამბოხებულები თავის მიზანს მიაღწევდნენ. გადატრიალება რომ ჩაიშალა, ამაში რუსებსაც მიუძღვით დიდი წვლილი. მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ მათ დროულად მიაწოდეს თურქეთის ხელისუფლებას ოპერატიული მასალა. აქედან გამომდინარე, საჭირო თუ გახდა, საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთთანაც უნდა ითანამშრომლოს.

***– რუსეთთან რაზე უნდა ითანამშრომლონ, აქაურ არეულობაზეც ფლობენ რაიმე ინფორმაციას?***

– არც ეგ არაა გამორიცხული. ის ჩრდილოკავკასიელები, რომლებმაც არეულობა უნდა მოაწყონ, რუსეთში ცხოვრობდნენ. რუსეთის სპეცსამსახურებს მათზე აუცილებლად ექნებათ ოპერატიული ინფორმაცია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ადამიანები ხშირად დადიან რუსეთში.

არეულობის მოსაწყობად შესაძლოა ის თურქებიც გამოიყენონ, რომლებსაც რამდენიმე წლის წინ მიანიჭეს საქართველოს მოქალაქეობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სააკაშვილის რეჟიმმა თავის დროზე თურქული მხარისგან ფული აიღო და დაჰპირდა, რომ ბათუმში აზიზიეს მეჩეთსააშენებდა. ამ დაპირების გამო დღევანდელი ხელისუფლება უხერხულობაშია ჩავარდნილი.

***– არანაირი უხერხულობა არ ეტყობათ, ძალიან მარტივად ამბობენ, მეჩეთი უნდა აშენდესო.***

– სხვა რა გზა აქვთ. წინა ხელისუფლებას თურქულ მხარესთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რაც ქართულ მხარეს მეჩეთის აშენებას ავალდებულებს.

ისევ ნაციონალებსა და მათ გეგმებს დავუბრუნდები. ყველა ინფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ხელისუფლებას დაარტყამენ და ამაზე ღიად საუბრობენ.

***– სად თქვეს ამის შესახებ ღიად?***

– სულ ამაზე არ ლაპარაკობენ?! განაცხადეს, ჩვენ ცესკოს შედეგებს არ ვცნობთ და მხოლოდ იმ ეგზიტპოლებს ვენდობით, რომლებიც რუსთავი 2-ის მეშვეობით გამოქვეყნდებაო. ეს კომპანია როგორ აყალბებს არჩევნებს, ამაზე შალვა რამიშვილმა 3 ოქტომბერს ისაუბრა.

საინტერესოა ისიც, რომ ხალხის გამოკითხვა ლევან თარხნიშვილის ცოლის კომპანიამ უნდა ჩაატაროს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეგზიტპოლებს რა შედეგი ექნება? ნაციონალური მოძრაობა გავა პირველ ადგილზე.

***– დარწმუნებული ხართ?***

– სად გინახავთ, რომ მელას თავისი კუდი მოეჭრას. ცესკოს შედეგები ეგზიტპოლებისგან მკვეთრად იქნება განსხვავებული და ნაციონალებიც დაიწყებენ არეულობას.

არ არის გამორიცხული, სიტუაცია არჩევნებამდეც აირიოს. ქვეყანაში ბოლო დღეებში ძალიან დაიძაბა ვითარება. გორში კი სულაც მაჟორიტარობის კანდიდატს ესროლეს.

***– ნაციონალები რა შუაში არიან, ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ მათ „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან მოუხდათ შელაპარაკება.***

– „ქართული ოცნების“ მაისურის შოვნას რა უნდა. არ გამოვრიცხავ, ეს დაპირისპირება მიგზავნილი პროვოკატორების მიერ ყოფილიყო მოწყობილი. ამიტომაც კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და სერიოზულად მოკიდოს ნაციონალებს. კიდევ ერთხელ გავიხსენებ თურქეთში ჩაშლილ გადატრიალებას. გამოჩნდა, რომ ამაში ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული. არც აქ არის მსგავსი რამე გამორიცხული. ნაციონალები ვიღაცას ფულით მოისყიდიან, ვიღაცას კიდევ კომპრომატებით დააშანტაჟებენ.

ხელისუფლება ვალდებულია, ერდოღანის მსგავსად, არეულობის მომწყობების წინააღმდეგ უმკაცრესი ზომები გაატაროს.

***– უმკაცრესი ზომების გატარებაში რას გულისხმობთ?***

– თუ არეულობის ყველა მოთავეს არ დააკავებენ და ქვეყანას ქაოსს ვერ აააცილებენ, მაშინ ხალხი უკვე „ქართულ ოცნებას“ გამოუტანს უმკაცრეს განაჩენს. მმართველი გუნდი ემსგავსება მაზოხისტს, რომელსაც სიამოვნებს, ვიღაც რომ აწვალებს. მაგათ თუ ნაციონალების მხრიდან წვალება სიამოვნებთ, აწვალებინონ თავი, მაგრამ ქვეყანას შეეშვან.

ნაციონალური მოძრაობა სანამ იქნება პოლიტიკურ ორბიტაზე, ქვეყანას განვითარება არ უწერია. სანამ მათი მობრუნების საფრთხე იარსებებს, არც ინვესტორები მოისურვებენ აქ ფულის ჩადებას.

# შალვა რამიშვილი: „რუსთავი 2-მა ჯიეფკას შედეგები გააყალბა“

## ნიკა გვარამია: „შალვა რამიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ ფასიან მომსახურებას გვთავაზობდა“





შალვა რამიშვილის მტკიცებით, ჯიეფკას კვლევის რეალური შედეგებით, „ქართულ ოცნებას“ 25.4%, ხოლო ნაცმოძრაობას 12.5%-აქვს.

„თავისუფალი ზონის“ ყოფილმა წევრმა ბესო კალაძემ ჟურნალისტ შალვა რამიშვილთან ერთად მის ხელთ არსებული კვლევის მონაცემები გუშინ, 3 ოქტომბერს. გამოაქვეყნა.

როგორც კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს მონაცემები ჯიეფკას კვლევის რეალურ შედეგებს ასახავს, რომელიც რუსთავი 2-მა დაუკვეთა. რამიშვილი და კალაძე აღნიშნავენ, რომ კალაძეს კვლევის გამოქვეყნებამდე (1 ოქტომბერი) რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა როგორც რეალური შედეგები, ასევე ის „გაყალბებული“ მონაცემები, რომელთაც რუსთავი 2 გამოაქვეყნებდა. აღნიშნული მონაცემები 2 დოკუმენტის სახით (გაყალბებული და რეალური) კალაძეს ნოტარიუსთან ჰქონდა შენახული, რომელიც გუშინ დილით გაასაჯაროვა.

რამიშვილის თქმით, კალაძის ხელთ არსებული „გაყალბებული“ მონაცემები და რუსთავი 2-ის მიერ გამოქვეყნებული შედეგები ერთმანეთს ემთხვევა. მისივე თქმით, ჯიეფკას კვლევის რეალური შედეგები აჩვენებს, რომ „ქართულ ოცნებას“ 25.4%-იანი, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას 12.5%-იანი მხარდაჭერა აქვს. საუბარია იმ ამომრჩეველზე ვინც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

კალაძე აცხადებს, რომ იმ პირის ვინაობას, ვინც ეს მონაცემები მიაწოდა, ვერ დაასახელებს.

ჯიეფკას კვლევით, რომელიც რუსთავი 2-მა გამოაქვეყნა, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას ხმას გამოკითხულთა 26% მისცემდა, „ქართულ ოცნებას“ კი – 25.4%.

* * *

– მეც შემიძლია ორი ფურცელი „ამოვპრინტო“ და ნოტარიუსთან რაღაც დროის განმავლობაში შევინახო.

ასე გამოეხმაურა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ჟურნალისტ შალვა რამიშვილისა და „თავისუფალი ზონის“ ყოფილი წევრის, ბესო კალაძის ბრალდებებს კვლევის შედეგების გაყალბებასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, ხელისუფლების ეს ქმედებები სასაცილოა.

– მე არ ვიცი, საერთოდ ეს რას ადასტურებს. თუ იმას ადასტურებს, რომ წინასწარ ცნობილი იყო ის 26% და 25.4%, როგორც ჩემს კომპიუტერში შემოდიან, ისე შედიან ყველა დანარჩენის კომპიუტერში, ვინც მათ აინტერესებთ. თავისთავად ცხადია, რომ შედეგებზე ფოსტის საშუალებით ხდება მიმოწერები და სუს-ისთვის ეს ყველაფერი ცნობილია, – განაცხადა გვარამიამ.

მისი თქმით, შალვა რამიშვილი რუსთავი 2-ს ფასიან მომსახურებას სთავაზობდა.

– სასაცილოა, რომ ხელისუფლებას მოკავშირედ ჰყავს შალვა რამიშვილი. ასეთი არასერიოზული ადამიანები ხელისუფლებაში უხვად არიან. შალვა რამიშვილი დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩვენთან კომუნიკაციაზე და გვთავაზობდა მის ფასიან მომსახურეობას „ოცნების“ წინააღმდეგ. ჩვენ მასთან ეს ურთიერთობა არ დავიჭირეთ. ბოლოს გამოგზავნილი ჰყავდა ელისო კილაძეც შემოთავაზებებით. არ გვჭირდება მისი დახმარება არაფერში. როგორც ჩანს, იპოვა მაინც საბოლოო ჯამში ბატონმა შალვამ პატრონი, – აღნიშნა გვარამიამ.

მისივე თქმით, რუსთავი 2 ეგზიტპოლების გაყალბებას არ აპირებს.

– მე საერთოდ არ მესმის, რატომ არის ეგზიტპოლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით ასეთი გადაჭარბებული შეფასება. წარმოუდგენელია ჩემთვის ეგზიტპოლებთან მიმართებაში ხელისუფლების პოზიცია. თუ ეს ეგზიტპოლები იქნება ყალბი, ზუსტად ნახევარ დღეში დადასტურდება. ჩვენ ვატარებთ ეგზიტპოლებს კეთილსინდისიერად. ვაქვეყნებთ იმას, რასაც გვაძლევს მსოფლიოში ცნობილი კომპანია ჯიეფკა, რომელსაც ჩვენთან თანამშრომლობის პერიოდში არც ერთი არაზუსტი ინფორმაცია არ მოუცია, – განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, ჯიეფკა კვლევის დეტალებზე, მათ შორის საველე სამუშაოებზე, დეტალურად 6 ოქტომბრის პრეზენტაციაზე ისაუბრებს.

* * *

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შალვა რამიშვილის განცხადების შესწავლა დაიწყო.

კომისიამ უკვე მიმართა რუსთავი 2-ს, ჯიეფკას, ჟურნალისტ შალვა რამიშვილს და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით საქმესთან არსებული დოკუმენტაცია სრულად გამოითხოვა, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის გამო კომისიამ მხარეებს ინფორმაციის წარმოსადგენად ვადა 2016 წლის 5 ოქტომბრამდე განუსაზღვრა.

# ლალი აფციაური: „ნაციონალები ყველანი ციხეში უნდა იყვნენ“

ნონა ცაბაძე

ბოლო დღეებში განვითარებულ სამართლებრივ პროცესებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **ლალი აფციაური** პასუხობს.

***— არჩევნებამდე ოთხიოდე დღე რჩება. ხელისუფლება გამუდმებით საუბრობდა მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე და ვხედავთ, რომ ქვეყანაში სიტუაცია თანდათან სახიფათო ხდება. თავდასხმები, დაჭრა, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. ასევე ფარული ჩანაწერები ძაბავს საზოგადოებას. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის, შეფასებები?***

— რატომ ძაბავს?! რა, არ უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რასთან გვაქვს საქმე?! მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და სრულებითაც არ მძაბავს.

***— როდესაც წინასაარჩევნოდ საუბარი მიდის გადატრიალებაზე, კადაფიზაციაზე, ეს არ დაძაბავს ამომრჩეველს?***

— უკაცრავად, არჩევნების წინ საუბრობენ ამ თემებზე ნაციონალები და აბა წინასწარ როგორ გამოექვეყნებინათ?! ხშირად მესმის ასეთი შეფასებები, რომ რაღა არჩევნების წინ? მათ შორის იურისტებისგან მიკვირს, რატომ სვამენ ასეთ კითხვებს?! როდესაც არის რაიმე სახის მტკიცებულება, იმ ჩანაწერს სჭირდება ხმის იდენტიფიკაცია, მონტაჟის კვალის აღმოჩენა. ერთი ხმის იდენტიფიკაციას და ერთი კვალის დადგენას შეიძლება დასჭირდეს ექვსი თვე.

***— ანუ შრომატევადი საქმეა?***

— ეს არის ძალიან შრომატევადი, ძალიან საპასუხისმგებლო საქმე. ასე რომ, ყველაფერი დროულად არის გამოქვეყნებული.

***— რამდენად არის ნაციონალური მოძრაობა წამსვლელი იმაზე, რაც ჩვენ ჩანაწერებში გვესმის?***

— ნაციონალური მოძრაობის სქემა ზუსტად ისე ეწყობა, რასაც მე ვფიქრობ, ნაციონალები მიდიან ვაბანკზე! წავლენ ნებისმიერ პროვოკაციაზე, მათ სხვა გზა არ დარჩენიათ. ბოლო წუთამდე ასე გააგრძელებენ. რა, არ იცნობთ სააკაშვილს? ის ნებისმიერ პროვოკაციაზე წავა! მათ შორის იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ თურქეთიდან ბათუმს კატერით მოადგეს. თუნდაც უბრალოდ წრე დაარტყას და წავიდეს. პიარისათვის ისინი ყველაფერზე მიდიან. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე მხარემ ჭკუა არ უნდა იხმაროს.

***— რამდენად წამოეგება ხელისუფლება ნაციონალების პროვოკაციებს?***

— არ უნდა წამოეგონ! როდესაც უკვე საუბრობენ და როდესაც ვიცით, რომ ის პროვოკაციაზეა წამსვლელი, ხელისუფლებამ ასმაგი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. დაინახავენ თუ არა დამნაშავეს, მაშინვე მოჰკიდონ მას ხელი და მიაბრძანონ საპყრობილეში.



ნაცების შემდეგ განთავისუფლებულია ადგილები და ჩაყარონ სუყველა. მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ნაცი იქნება თუ ქოცი! დანაშაულზე პასუხი ყველამ თანაბრად უნდა აგოს.

***— ამ საუბრებში რა იკვეთება?***

— ამ საუბრებში, მინიმუმ, სახელმწიფო გადატრიალებაა. ასეთ საქმეზე თვითონ ნაცებმა, ან სად ჰქონდათ ასეთი საუბრები და ჩანაწერები, მოწმეების ჩვენებებით დააკავეს იგორ გიორგაძის მომხრეები. ის დაკავების დღეც კარგად მახსოვს, თავზე ვერტმფრენებით და მერე კუბოს საამქროში აღმოვაჩინე ის დაკავებულები. დამაეჭვა, საიდან მოჰყავდა ერთსა და იმავე მანქანას ორ წუთში ერთხელ ამდენი აკავებული, გავყევი უკან და ტროლეიბუსების სადგური რომ ერქვა, მოდულის უკან, აი იმ შენობაში კუბოების საამქროში ჰყავდათ ეს ადამიანები შეყრილი.

ასე მაინც არ ხდება დღეს! უკაცრავად, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას თუ აქვს ადგილი, აბა არ უნდა მოუსმინონ? რატომ გვისმენთო. დამნაშავეები ხართ და იმიტომ! რომელ კანონიერებაზე გველაპარაკებიან ეს ადამიანები, როცა გადატრიალებაზე და ქვეყნის დაქცევაზეა საუბარი!

***— უნდა დაიწყოს სამართლებრივი დევნა ამ კონკრეტულ ჩანაწერებთან დაკავშირებით?***

— დარწმუნებული ვარ, რომ საქმე უკვე აღძრულია და გამოძიებაც მიმდინარეობს.

***— არის შესაძლებელი, რომ ამ მოტივით ნაციონალები მოიხსნან არჩევნებიდან? თუ ეს უკვე დაგვიანებულია?***

— წესით, თუ არსებობს მყარი მტკიცებულებები, არის მოწმეთა ჩვენებები, ჩანაწერიც თუ ავთენტურია, აქამდეც უნდა დამდგარიყო ეს საკითხი დღის წესრიგში. მარტო არჩევნებიდან კი არ უნდა მოიხსნან, მე თუ მკითხავთ, ეგენი ყველანი ციხეში უნდა იყვნენ!

***— გასულ კვირას სამართალდამცავების მიერ იარაღის არსენალი იქნა აღმოჩენილი. ითქვა ისიც, რომ ის ნაციონალების მიერ იყო გადამალული. ეს ყველაფერი რამდენად საფრთხის შემცველია არჩევნების წინ?***

— ამ იარაღის ამოღება თუ არის კავშირში ნაციონალურ მოძრაობასთან და თუ არსებობს ამის მტკიცებულებები, მაშინ მოქმედებაც დროული უნდა იყოს. მტკიცებულების გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

***— კვირა საღამოს ირაკლი ოქრუაშვილზე და მის თანმხლებ პირებზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. ის ხელს „ოცნებისკენ“ იშვერს. ამის თაობაზე რას იტყვით და რამდენად გახშირდება ამ დღეებში მსგავსი შემთხვევები?***

— აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ძიებაა ჩასატარებელი, უნდა გაირკვეს, სინამდვილეში რა მოხდა. უნდა დადგინდეს, ეს ხომ არ არის მიზანმიმართული ბრალდება და თითის გაშვერა „ოცნებისადმი“. ამ კითხვებს პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. გამოიკვეთება გარკვეული მტკიცებულებები.

სამართალდამცავ ორგანოებს 24 საათიან რეჟიმში მოუწევთ მუშაობა, რადგან მსგავსი შემთხვევები, პროვოკაციები აუცილებლად მოიმატებს ბოლო დღეებში.

# ანზორ აბრალავა: „ეგზიტპოლები იარაღია რევოლუციისთვის“

## „სააკაშვილი გვირაბს ან ციხემდე გათხრის, ან — ფსიქიატრიულამდე“

მარიამ მჭედლიშვილი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად მდგომარეობა უფრო დაიძაბა. ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება

**ანზორ აბრალავა:**

— სიტუაცია იძაბება. ეს არანაირად არ შედის ხელისუფლების ინტერესებში. ხელისუფლება დაინტერესებულია მშვიდი საარჩევნო გარემოთი და არჩევნების ნორმალურად ჩატარებით.

***— მაჟორიტარობის კანდიდატ ირაკლი ოქრუაშვილზე მომხდარმა თავდასხმამ და ორი პირის დაჭრამ ოპონენტებს გაუჩინა ახალი განცხადებების გაკეთების საფუძველი. მათი შეფასებით, ხელისუფლება ახდენს ძალადობის წახალისებას.***

— გასაკვირი არ არის, რომ ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს იყენებს ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც წინასწარ აქვს დაანონსებული, რომ 8 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდება. სააკაშვილმა დაიწყო ვოიაჟები და ახალი განცხადებების გაკეთება. ის აანონსებს საქართველოში ჩამოსვლას და იმედს ამყარებს აშშ-ზე. ნაციონალური მოძრაობა ისევ რევოლუციით იმუქრება. ამ პარტიას სახელმწიფო გადატრიალება დღის წესრიგიდან არ მოუხსნია. ან როგორ მოხსნიდა, როცა ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს პირები ამით არიან დაკავებული?

***— ბოლო დროს ნაციონალებს წარსულს ბევრი უხსენებს.***

— მათ მძიმე გენეალოგია აქვთ. ადრე მოქკავშირში იყვნენ და მაშინაც აგრესიულად იქცეოდნენ, მერე ნაცმოძრაობაში გაერთიანდნენ და ისე აწყობდნენ სახელმწიფო გადატრიალებებს. ახლა ახალ გადატრიალებას აპირებენ. ამისთვის მათ არავინ სთხოვს პასუხს. ხელისუფლება ძალიან ლოიალურია.

***— რატომ ხდება ასე?***

— იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებაში უნდათ, იყვნენ დემოკრატიულ ქვეყნებზე უფრო დემოკრატიულები, ანუ რომის პაპზე უფრო კათოლიკეები. არადა, მდგომარეობა მძიმეა. არსებობს გადატრიალების გეგმები. რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი, რომელიც ფაქტობრივი გენპროკურორია, აკეთებს საყურადღებო განცხადებებს. მისი ქცევებიც მრავლისმეტყველია. რევოლუციაზე ღიად ლაპარაკობს სააკაშვილი.

***— მოსალოდნელ გადატრიალებაზე რამდენიმე წელიწადია საუბრობთ. საიდან დაიწყება ეს პროცესები?***

— მართლაც, ახალ რევოლუციაზე მას შემდეგ ვსაუბრობ, რაც ნაციონალებმა ხელისუფლება დაკარგეს. ვფიქრობ, რომ სააკაშვილი, სურვილის მიუხედავად, აჭარიდან ვერ ააგორებს მოვლენებს. მას იქ დასაყრდენი არ ჰყავს. აქცენტი



გაკეთდება სამეგრელოზე. ასევე, ამ მოვლენების ორგანიზატორების სამიზნე გახდება თბილისი. კონკრეტულად — ბიძინა ივანიშვილის სასახლე.

***— სანდრა რულოვსის სიტყვები ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრაზე ამის მიმანიშნებელია?***

— ეს სიტყვებიც ამაზე მეტყველებს. „ნანუკას შოუში“ მოწვეული ჰყავდათ სანდრა რულოვსი, სადაც ეცადნენ, მის მიმართ სიბრალული და თანაგრძნობა დაენერგათ. თურმე, დედა ჰყოლია ავად. დედები ბევრს ჰყავს ავად. არიან დედები, რომლებსაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმმა შვილების კუბოები დაუდგათ. ეს სანდრა რულოვსს არ აინტერესებს. ის უსირცხვილოდ ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას. ერთი კია — თვალებს დაბლა ხრის და ადამიანებს თვალს ვერ უსწორებს. გვირაბს სააკაშვილი მართლაც გათხრის, ოღონდ ეს მოხდება გლდანის ან მატროსოვის ციხემდე, ან — ფსიქიატრიულამდე.

***— არჩევნების დღეს ტარდება ეგზიტპოლები. ეს შექმნილ ვითარებაში საშიშია?***

— ეგზიტპოლები იარაღია რევოლუციისათვის. ნაციონალები ჯერ კიდევ არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე ეცდებიან სიტუაციის არევას. ამისთვის გამოიყენებენ რუსთავი 2-ის მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლს. ეს პარტიული ტელევიზია დაიწყებს ხალხის მობილიზაციას, მოწოდებებს, ქუჩაში გამოსვლისკენ, მაგრამ ნაცმოძრაობას ხალხი არ გაჰყვება.

***— არეულობა იქნება?***

— თუ ხელისუფლება კანონის ფარგლებში არ გასცემს პასუხს დამნაშავეებს და დესტაბილიზაციის მომწყობებს, მაშინ მათ თავისას მიუზღავს ხალხი. ეს იქნება უსასტიკესი პასუხი. შეიძლება ისეთი მოვლენები მოხდეს, რომელიც მძიმე იქნება ნაცმოძრაობისთვისაც და ქვეყნისთვისაც. სხვა რომ აშავებს, იმას პასუხი მოეთხოვება. საკითხავია, რატომაა დაუსჯელი მარტო ნაციონალური მოძრაობა? ნაციონალები სიტუაციის არევას შეეცდებიან, მაგრამ ეს მათი ბოლო მოქმედება იქნება. მთავარია, დაუსჯელობამ საქმე დაპირისპირებამდე არ მიიყვანოს.

# რომის პაპი: „შემძრა საქართველოს პატრიარქის გაცნობამ“



— შემძრა საქართველოს პატრიარქის გაცნობამ და ეს გრძნობა მქონდა მასთან ყოველი შეხვედრისას, მე ვიპოვე ნამდვილი ღვთისკაცი.

რომის პაპის განცხადებით, საქართველოში ორი სიურპრიზი დახვდა. ამის შესახებ პაპმა ბაქოში ვიზიტის შემდეგ, იტალიაში გამგზავრებისას, თვითმფრინავის ბორტზე გამართულ პრესკონფერენციაზე, „მოამბის“ ჟურნალისტის კითხვაზე პასუხისას განაცხადა.

— საქართველოში ორი სიურპრიზი დამხვდა — ერთი არის თავად საქართველო. მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი ქრისტიანული რწმენით სავსე ასეთ ადგილს.

ჩემი მეორე აღმოჩენა საქართველოს პატრიარქი იყო, ადამიანი უდიდესი და ღრმა რწმენით. ის არის ღვთისკაცი. მე შემძრა პატრიარქის გაცნობამ და ეს გრძნობა მქონდა მასთან ყოველი შეხვედრისას. დავტოვე გრძნობით, რომ მე ვიპოვე ნამდვილი ღვთისკაცი, — განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკემ.

რაც შეეხება კითხვას, რომ ილია მეორესთან პირადად შეხვედრის შემდეგ, გაჩნდა თუ არა უფრო დიდი შანსი იმის, რომ იყოს კონსტრუქციული დიალოგი ეკლესიებს შორის იმ დოგმატურ თავისებურებებზე და განსხვავებებზე, რომლებიც არსებობს და როგორ ხედავს ურთიერთობას მართლმადიდებლურ და კათოლიკე ეკლესიებს შორის, პაპმა აღნიშნა, რომ დოქტრინებზე საუბარი თეოლოგების საქმეა.

— რაც შეეხება საკითხებს, რაც გვაშორებს და გვაერთიანებს, ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე არ არის დოქტრინებზე საუბარი. მოდით, დაუტოვეთ ეს თეოლოგებს განსახილველად.

მათ კარგად იციან და ორივე მხრიდან თეოლოგებმა უნდა შეისწავლონ. რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ეს არის ერთმანეთისთვის ლოცვა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მეორეა ერთობლივად რაიმეს გაკეთება. ამდენი ღარიბი ადამიანია. მოდი, ერთად გავაკეთოთ ბევრი რამ ღარიბი ადამიანებისთვის. მათთვისაც, ვისაც ბევრი პრობლემა აქვს, — განაცხადა რომის პაპმა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ივანიშვილი: „ნაციონალები ველარ „იბლატავებენ“

– ნაციონალური მოძრაობა ველარ „იბლატავებს“.

ეს განცხადება საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ, 3 ოქტომბერს, გააკეთა.



– ნაციონალურ მოძრაობას ეყოლება 5-10 თუ 15 დეპუტატი, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მთავარია, რომ ეს ბობოქრობა და ანტაგონიზმი მორჩება. არ ვიცი, ნაძარცვი რამდენი დარჩათ, მაგრამ ახალს ველარ იპარავენ და როდემდე ეყოფათ, არ ვიცი. ეს რესურსიც აღარ აქვთ და, შესაბამისად, რესურსი აღარ აქვთ.

ვპირდები საზოგადოებას, რომ საჩუქარს ახლა მიიღებენ, რასაც ვპირდებოდი. მე რომ ეს 4 წლის წინ მეთქვა, რომ ამას 4 წელი დასჭირდებოდა, ვერ გამიგებდნენ. საჩუქარი ის არის, რომ რასაც ელოდნენ 2012 წელს, მიიღებენ ახლა. საუბარი მაქვს იმაზე, რომ ისინი ველარ „იბლატავებენ“, თავისი ადგილი ექნებათ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჟურნალისტის რეპლიკაზე, რომ შესაძლოა ეს ყველაფერი მუქარად იყოს აღქმული, ივანიშვილმა უპასუხა, რომ ის იმ გამოძიებებს გულისხმობდა, რომლებიც მიმდინარეობს.

– გარედან მხარდაჭერა არის განულებული, საზოგადოებამ კარგად გაიგო, რას წარმოადგენენ, თუ ბოლომდე გააგრძელებენ იმას, როგორც ახლა იქცევიან, ბოლომდე დავინახავთ მათ სახეს. 5-10 თუ 15 დეპუტატი დაჯდება პარლამენტში და იქნებიან ცუციკებივით. ისინი იქნებიან საკუთარ ადგილზე. მე არ ვამბობ, რომ ტოტალურად დაისჯებიან ან რამე მსგავსი. ვგულისხმობ გამოძიებას, რომელიც პროკურატურაში მიმდინარეობს.

დააბოლეს საზღვარგარეთ, რომ დემოკრატიის შუქურა იყვნენ. თუმცა შიგნიდან კარგად ვიცოდით, რომ მოძალადეები იყვნენ. ეს ყველაფერი განულებულია, – აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, სად წარმოუდგენია ივანიშვილს ნაციონალური მოძრაობა არჩევნების შემდეგ, ექსპრემიერმა აღნიშნა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ის სახელი დაერქმევა, რასაც იმსახურებს.

– საკუთარი თავის საცემადაც მზად არიან ნაციონალურ მოძრაობაში, რათა აჩვენონ, რომ ეს ხელისუფლება მსგავსია წინა ხელისუფლების.

გოგონებს სცემეს ამას წინ და ნაციონალური მოძრაობის წევრებზე იკვეთება ეს დანაშაული. ეს მათი ხელწერაა და სულ არ გამიკვირდება. ისევე როგორც კორცხელი, ამდენი იძახეს, მათი დადგმული სცენარი იყო, ტყუილად არ უპოვიათ მათ მანქანაში ხელკეტები. იქაც თვითონ ძალადობდნენ. საკუთარი თავის საცემადაც მზად არიან, რათა აჩვენონ, რომ ეს ხელისუფლება მსგავსია წინა ხელისუფლების, – განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის განცხადებით, გაჩნდა შანსი, რომ მეორე ადგილზე თავისუფალი დემოკრატები გავიდნენ.

მისი თქმით, ასეთი სცენარით, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შესაძლოა საერთოდ ვერ შევიდეს.

– მეორე ადგილზე მკვეთრად იკვეთებოდა ნაციონალური მოძრაობა. საშუალო რაოდენობა პარტიული სიიდან იყო 10 დეპუტატი, ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებში ვერსად მოიგებს ნაციონალური მოძრაობა. მათ შორის ზუგდიდშიც ვერ მოიგებს ის ქალბატონი (სანდრა რულოვსი).

ვერც ერთ მაჟორიტარულ ოლქში ვერ მოიგებს ნაციონალური მოძრაობა. ბოლო ორი კვირის მანძილზე, მათ აგონიურ შეცდომებს თუ გავითვალისწინებთ, ჩემი აზრით, გაჩნდა შანსი, რომ მეორე ადგილზე თავისუფალი დემოკრატები გავიდნენ. ეს არის ძალიან კარგი შანსი.

დომინანტი პარტია არის „ქართული ოცნება“ და მე შემთხვევით არ ვუჭერ მხარს. არ ჰყავს ალტერნატივა და არ მოუწევს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. ოპონირება იქნება გარეთაც და პარლამენტშიც. ჩემი აზრით, 5-6 პარტია იქნება წარმოდგენილი და ეს იქნება კარგი, – განაცხადა ივანიშვილმა.

## ლევან ბერძენიშვილი: „ივანიშვილს ყველაფერზე არაკვალიფიციური დამოკიდებულება აქვს“




რესპუბლიკური პარტიის წევრ ლევან ბერძენიშვილის აზრით, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს ყველაფერზე, ფულის თვლის გარდა, არაკვალიფიციური დამოკიდებულება აქვს.

ამის შესახებ ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილის პროგნოზის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც, პროპორციულ არჩევნებში „ქართული ოცნება“ 48-54%-ს მიიღებს, მაჟორიტარულში კი 60-70 კანდიდატს გაიყვანს.

ბერძენიშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილს წარმოუდგენია, რომ რეალობას მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან თავად ქმნის მას.

– რიცხვები, რომლებიც ჩვენ გავიგონეთ, არის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ბიძინა ივანიშვილის პროგნოზი, რომელიც რამდენად არ შეეფერება სინამდვილეს, გაირკვევა 8 ოქტომბერს.

ეს არის გაცილებით უფრო ოპტიმისტური პროგნოზი „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ ბატონ ბიძინა ივანიშვილს ეტყობა წარმოუდგენია, რომ რეალობას მნიშვნელობა არა აქვს, რეალობას ქმნის ის. ეს არის შეკვეთა, რა უნდა მას, დანარჩენს განახორციელებს „ქართული ოცნება“, მაგრამ ძირითად გადაწყვეტილებას იღებს ქართველი ხალხი.

საერთოდ, ეს არის მანიპულირება სოციოლოგიით, რომელზეც ბიძინა ივანიშვილს ზუსტად ისეთი წარმოდგენა აქვს, როგორც ყველაფერზე, ფულის თვლის გარდა – ყველგან მას აქვს ასეთი არაკვალიფიციური და წარმოუდგენლად არამეცნიერული დამოკიდებულებები, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ლელა გეჯაძის პრეპარატის უნიკალურობაზე პროფესორები საუბრობენ...!

**ფიტოთერაპევტი ლელა გეჯაძე 2003 წლიდან ამზადებს ნაყენს, რომელიც უამრავ დაავადებას კურნავს. ამ ყველაფერზე ის თავად გიამბობთ.**






**ლელა გეჯაძე:**

– რთულია ისაუბრო საკუთარ შესაძლებლობებზე, მაგრამ უკვე 13 წელია, რაც ნაყენი ქავთასი არსებობს და იგი ინდივიდუალურია და შემდეგ დაავადებებს კურნავს (ფარისებრი ჯირკვალი, როდესაც შემცირებულია ან ზომაშია მომატებული. ბუასილი იგივე ჰემოროი, ნაღვლის ბუშტში სილა, ჩირქი ან დეფორმაცია, თირკმლის უკმარისობა, წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) ადენომა, ჭარბი წონა, კოლიტი, დისბაქტერიოზი, სახსრების ტკივილი, თავის შეუჩერებელი ტკივილი (შაკიკი) არასასიამოვნო გემო და სუნი პირის ღრუდან). ჩივილის და მიხედვით ხდება ინდივიდუალურად პაციენტისთვის ნაყენის დამზადება ნაყენი შედგება 12 კომპონენტისგან და დაავადების მიხედვით ხდება კომპონენტთა ცვალებადობა. ხმამაღლა ვამბობ და ამაში ჩემი ყველა პაციენტი დამეთანხმება.

***– რის სამკურნალოდ გამოიყენება თქვენ მიერ დამზადებული ნაყენი?***

– ნაღვლის ბუშტის დაავადებები, კუჭის გასტრიტი და წყლული, ნაწლავთა დაავადებები, ფარისებრი ჯირკვლის, მამაკაცებში პროსტატის ადენომის, მასტიტების, მასტოპატიების, ღვიძლის გაცხიმოვნების, შარდის ბუშტისა და საშარდე გზებისთვის, იმუნიტეტის მოსამატებლად, სრულიად აქრობს ორგანიზმში ანთებით პროცესებს, აქრობს და კურნავს უსიამოვნო სუნს პირის ღრუდან, კურნავს ბუასილის საწყის სტადიას.

***– როგორ ხდება თქვენთან მკურნალობა?***

– პაციენტი როდესაც მიკავშირდება, ვეკითხები რა აწუხებს? ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ ვაგზავნი ანალიზებზე იმისდა მიხედვით, მას რა აწუხებს, იკეთებს ანალიზებს და მოდის ჩემთან ვიზიტზე. ანალიზების მიხედვით მზადდება ნაყენი და ვიწყებთ მკურნალობას.

***– მკურნალობის შემდეგ რა ეტაპია?***

– მკურნალობის შემდეგ კეთდება ხელახალი ანალიზები, რათა პაციენტმა ნახოს, შედეგი რა ჰქონდა და რა მიიღო მკურნალობის შემდეგ. ამას, რა თქმა უნდა, ორგანიზმიც კარნახობს, მაგრამ ანალიზები საჭიროა.

***– სად კეთდება ანალიზები?***

– არასდროს არ ვეუბნები პაციენტს აქ მიდით და გაიკეთეთ ანალიზები, სადაც თავად სურთ, იქ მიდიან და იკეთებენ ანალიზებს და კონტროლსაც იქ აკეთებენ. მე ყოველთვის რჩევის დონეზე ვურჩევ პროფესორ კონსტანტინე ბარიშვილს (რადიოლოგს) რადგან ის ნამდვილი პროფესიონალია თუ მათ არ სურთ ამ ბატონთან ვიზიტი, მიდიან იქ, სადაც მათ უნდათ.

***– გყოლიათ თუ არა უკმაყოფილო პაციენტი?***

– ხმამაღლა ვამბობ, რომ 13-წლიან პრაქტიკაში არც ერთი უკმაყოფილო პაციენტი არ მყოლია. ჩემს ფეისბუქ გვერდზე ყოველთვის მიწერენ მადლიერი პაციენტები მადლობის წერილებს. მე საჯარო პროფილი მაქვს და ყველას შეუძლია მისი ნახვა!

**პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ზუხბაია:**

– ქალბატონ ლელას არც თუ ისე დიდი ხანია ვიცნობ. მანამდე გაგებული მქონდა ჩემი კოლეგებიდან, მისი ძალიან ეფექტური წამლის შესახებ. მეც, როგორც ექიმების უმრავლესობა, სკეპტიკურად – ეჭვით აღვიქვამდი ყოველივე ამას. პროფესიონალურმა ინტერესმა მძლია და ჩემს კოლეგას, რომელსაც ექოსკოპიური კვლევით დაუდგინდა პროსტატის ადენომა (მოცულობა 76 კუბ. სმ), ვურჩიე მიემართა მისთვის ჩემი რეკომენდაციით. დაგეგმილი მკურნალობის ნახევარი კურსის ( 5 ) ჩატარების შემდეგ, საკონტროლო ექოსკოპიური კვლევით საოცარი შედეგი დადგინდა – მოცულობა გახდა 48 კუბ. სმ. მე, არც ლიტერატურაში და არც ჩემი პრაქტიკიდან პროსტატის ადენომის მკურნალობის ასეთი გამოხატული ეფექტი არ შემხვედრია და ჩემს აზრს იზიარებენ ცნობილი სპეციალისტებიც. მიმაჩნია, რომ ეს ნაყენი, სახელწოდებით „ქავთასი“, უნდა იქნას შესწავლილი ფარმაცევტული კომიტეტის მიერ და მიეცეს ფართო უფლება მის გამოყენებას არაავთვისებიანი დაავადებების დროს, რომელთა ჩამონათვალიც მრავალფეროვანია!

**მამა გერასიმე (წმ.ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვარი):**

– 6 წელი მაწუხებდა ყველაფერი მუცლის ღრუში, ვიტარებდი ეხოსკოპიურ გამოკვლევებს, მაგრამ ექიმები დიაგნოზს ვერ მისვამდნენ. მქონდა თავბრუსხვევები, გაუსაძლისი ტკივილი მუცლის ღრუში, თავის ტკივილები, წნევის ცვალებადობა და არითმია, ექიმები მინიშნავდნენ სხვადასხვა მედიკამენტებს, მაგრამ შედეგი დროებითი იყო, გავიგე გეჯაძის ნაყენზე და დავიწყე მისი მიღება, შედეგს ყოველდღიურად ვამჩნევდი, დღითიდღე ლაგდებოდა ყველა პრობლემა. საბოლოო შედეგის მისაღწევად თვენახევარი დაგვჭირდა. სრული პასუხისმგებლობით ვურჩევ ერს ლელას ნაყენის დალევას, ის მართლაც სასწაულმოქმედია

P.S. რა თქმა უნდა, სტატიაში პაციენტთა სრული სია არ არის. რაც მთავარია, მათ თავად ისურვეს ხალხისთვის მოეყოლათ საკუთარი პრობლემებისა და „ქავთასით“ მკურნალობისას მიღებული შედეგების შესახებ. ვისაც გსურთ, დაემშვიდობოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, დაუკავშირდით ლელა გეჯაძეს ტელეფონის ნომერზე; 595-26-32-17 და „ფეისბუქზე“ www.facebook.com/lela.gejadze.1

# თურქეთში გიულენის ძმა დაიჭირეს



თურქეთის პოლიციამ მქადაგებელ ფეთჰულა გიულენის ძმა, ქუთბედინ გიულენი დააპატიმრა.

მქადაგებელი გიულენი ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს. თურქი ძალოვნები მას სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში სდებენ ბრალს.

მისი ძმა მქადაგებლის ახლობელთაგან პირველია, რომელიც დააპატიმრეს.

# მოსკოვში უკრაინელი ჟურნალისტი დააპატიმრეს



რუსეთის დედაქალაქში უკრაინელი ჟურნალისტი რომან სუშენკო დააპატიმრეს. მას ბრალს შპიონაჟში დებენ.

– ესაა გაუგონარი ძალადობა! მოვითხოვთ, რომ სუშენკო დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ! – განაცხადა უკრაინის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირინა გერაშჩენკომ.

მან მოწოდებით მიმართა ეუთოს, ევროკავშირს, გაეროს, რათა გააძლიერონ ზეწოლა რუსეთზე და სუშენკოს გათავისუფლებას მიაღწიონ.

# ბაშარ ასადი:
## ბოევიკებს მოვუწოდებ, ალეპო დატოვონ



სირიის დიქტატორმა ბაშარ ასადმა ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილში გამაგრებულ ბოევიკებს მოუწოდა, რომ ქალაქი დატოვონ.

– მოუხმეთ კეთილგონიერებას, დაინდეთ მოსახლეობა, რომელიც არაფერში არაა დამნაშავე, – თქვა ასადმა.

თავის მხრივ გაერო და ევროკავშირი მოუწოდებენ ასადს, ალეპოში ჰუმანიტარული ტვირთი გაატაროს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

# ამერიკის პოლიცია ახალგაზრდებს სთხოვს, მასხარას ფორმაში არ გამოეწყონ



ამერიკის პოლიცია აგრძელებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში საიდუმლოებით მოცული მასხარასფორმიანი უცნობი ადამიანების გამოჩენის გამოძიებას.

მთელი ქვეყნის მასშტაბით აკავებენ ადამიანებს (ძირითადად ახალგაზრდები და მოზარდები), რომლებიც მოსახლეობის შეშინებას ცდილობენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მასხარას კოსტუმებით გამოჩენით, ან სოციალურ ქსელებში მუქარის შემცველი „მასხარას“ წერილების გავრცელებით.

ფლორიდის შტატის პასკოს ოლქის შერიფმა კრისტოფერ ნაკომ გააკეთა განცხადება, რომ ასე ხუმრობა არ ღირს: შეშინებულმა ადამიანებმა შესაძლოა შექმნილი ვითარება სიცოცხლისთვის საშიშად ჩათვალონ და სერიოზულ თავდაცვაზე იზრუნონ. მის ნათქვამს ადასტურებს ალაბამას შტატის ქალაქ ფლომატონის პოლიციის შერიფი ბრაიან დევისი: მისთვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც დაზარალებულებმა მასხარების დევნა დაიწყეს.

– ასე რომ, ეს თამაში არ არის, საქმე უფრო სერიოზულადაა, – ამბობს შერიფი.

პოლიციის მონაცემებით, ჯორჯიაში, ალაბამაში და ვირჯინიაში ამგვარი ხუმრობის გამო, 12 ადამიანია დაპატიმრებული. ისინი კუთხიდან მოულოდნელად გამოხტებოდნენ, ან ადამიანებს დასდევდნენ. ე.წ. „მასხარას პანიკას“ უკავშირებენ 16 წლის კრისტიან ტორესის დაღუპვას პენსილვანიაში.

ინფორმაციის გავრცელება მასხარას კოსტუმში გამოწყობილი ადამიანების გამოჩენაზე მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო. სხვადასხვა ქალაქებში იტყობინებოდნენ, რომ ეს ადამიანები ცდილობდნენ, ბავშვები ტყეში შეეტყუებინათ.

# ჩინეთში უძრავი ქონების ფასებმა ტოკიო და ნიუ-იორკი უკან მოიტოვეს



ჩინეთის შენჩჟენეში უძრავი ქონების ფასებმა უკან მოიტოვეს იაპონიის დედაქალაქი ტოკიო და ამერიკული ქალაქი ნიუ-იორკი.

ამჟამად ჩინეთის უძრავი ქონების ბაზარზე ნამდვილი ბუმია. შენჩჟენეში ფასები უძრავ ქონებაზე ხუთი წლის მანძილზე 205 პროცენტით გაიზარდა, მეორე ადგილზეა შანხაი (94 პროცენტი). გარდა ამისა, მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა პეკინი, ხოლო მეშვიდეზე ჰონკონგი.

რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს სან-ფრანცისკო (აშშ), მეოთხეზეა – ლონდონი (დიდი ბრიტანეთი), შემდეგ მოდის ლოს-ანჯელესი (აშშ).

მერვე და მეცხრე ადგილი ერგოთ ამერიკულ ქალაქებს ბოსტონსა და ჩიკაგოს. ხოლო მეათე ადგილს ტოკიო და ნიუ-იორკი ინაწილებენ

# პარიზის სასტუმროში კიმ კარდაშიანი დააყაჩაღეს



ორი ნიღბიანი და შეიარაღებული მამაკაცი ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის სასტუმრო ნომერში შეიჭრა.

– ორი შეიარაღებული ნიღბიანი პოლიციის ფორმიანი მამაკაცი იარაღით ემუქრებოდა კიმ კარდაშიანს პარიზის სასტუმროს ნომერში. ის ღრმად შოკირებული, თუმცა უვნებელია, – განაცხადა ტელევარსკვლავის წარმომადგენელმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფოტომოდელს რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა წაართვეს. თავდასხმაში კი სულ ხუთი ადამიანი მონაწილეობდა.

ინციდენტის დროს კარდაშიანის მეუღლე, ამერიკელი რეპერი კანიე უესტი ნიუ-იორკში ფესტივალზე გამოდიოდა. მან კონცერტი შეწყვიტა, სასწრაფოდ დატოვა სცენა და ეს ყოველივე ოჯახური მდგომარეობით ახსნა.

ჯერჯერობით მომხდარის ოფიციალური ვერსია არ ვრცელდება. ასევე უცნობია, თავდასხმის დროს კარდაშიანის გვერდით იმყოფებოდნენ თუ არა მისი ოჯახის სხვა წევრები. ამერიკელი ტელევარსკვლავი პარიზში მოდის კვირეულზე ჩავიდა.

# ჯონსონ და ჯონსონის მემკვიდრე ფერმას 28,5 მილიონად ყიდის



ჯონსონ და ჯონსონის მემკვიდრე ელისაბედ როს ჯონსონი ნიუ-იორკულ ფერმას 28,5 მილიონ დოლარად ყიდის.

მამულის ფართობი, რომელიც მილბრუკში მდებარეობს, 600 აკრს (2,4 კვადრატული კილომეტრი) შეადგენს. ტერიტორიაზე განთავსებულია სახლი ბერძნული აღორძინების სტილში, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებშია აშენებული. მასში ცხრა საძინებელი, კინოთეატრი, სამეჯლისო დარბაზია.

ასევე მამულს აქვს მოედანი შვეულმფრენისთვის, ოთხი სასტუმრო სახლი, საჯინიბო, მოედანი ცხენით ჯირითისთვის და საძოვარი.

ჯონსონმა სახლი 1980 წელს იყიდა, შემდეგ კი მისი მიმდებარე ნაკვეთებიც შეიძინა. როგორც ოჯახის წარმომადგენელმა განაცხადა, ფერმა გასაყიდად იმის გამო იქნა გამოტანილი, რომ ჯონსონის შვილებს სხვა სახლები აქვთ და ისინი ამ სახლში არ ჩამოდიან.

თუ ფერმა მოთხოვნილ ფასად გაიყიდება, მაშინ მილბრუკისთვის რეკორდი დამყარდება. ადრინდელი მიღწევა 2011 წელს დამყარდა და ის 18,4 მილიონს შეადგენდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# პრინცი ჯორჯი კანადაში საპნის ბუშტებით მოიხიბლა



პრინცი ჯორჯი და მისი უმცროსი და პრინცესა შარლოტა კანადაში საბავშვო დღესასწაულზე საპნის ბუშტების გაშვებით ერთობოდნენ.

აღნიშნული ღონისძიება სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისთვის ვიქტორიაში ხელისუფლების სახლთან გაიმართა.

პრინცმა უილიამმა შვილს უჩვენა, თუ როგორ უნდა გაებერა და გაეშვა საპნის ბუშტები. ადგილობრივი პრესის ცნობით, კემბრიჯის ჰერცოგმა შესანიშნავად გაატარა დრო ბავშვების წვეულებაზე.

აღსანიშნავია, რომ ჯორჯზე ნანახმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით იმან, როდესაც საპნის ბუშტებმა მას სახესთან ჩაუფრინეს. ტახტის მემკვიდრე უკიდურესად მობილიზებული იყო და ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

მედიცინა

# რა არის არტერიული წნევა






ჰიპერტონიული დაავადებით ყოველი მეხუთე ადამიანი იტანჯება, ხოლო 50 წლის შემდეგ – ყოველი მეორე. ამ ქრონიკული დაავადებისგან სრულად განკურნება შეუძლებელია, მაგრამ საკუთარი წნევის გაკონტროლება საჭირო და აუცილებელია. ეს ერთადერთი შანსია ჰიპერტონიასთან დაკავშირებული სასიკვდილო და საშიში დაავადებებისგან თავის დასაცავად.

არასწორი ან არასაკმარისი მკურნალობისას ამ დაავადებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ინფარქტი, ინსულტი, აორტის ანევრიზმა, თირკმლების უკმარისობა, სიბრმავე. ამავდროულად მაღალი წნევა ნაადრევი სიკვდილის რისკს ზრდის.

ჰიპერტონიული დაავადება პირველად შეიძლება 30 წლის შემდეგ (შესაძლებელია ადრეც) გამოვლინდეს. განასხვავებენ სამ სტადიას.

პირველ სტადიაზე შინაგან ორგანოებსა და სისტემებში ცვლილებები არ ხდება, წნევა ეპიზოდურად იმატებს და ნორმას თავისთავად უბრუნდება.

მეორე სტადიაზე ასეთი ეპიზოდები უფრო ხშირია და წნევის დაწევა მხოლოდ მედიკამენტების დახმარებით შეიძლება.

მესამე სტადიისთვის დამახასიათებელია სტაბილური მაღალი არტერიული წნევა, ორგანოებისა და სისტემების პათოლოგიური ცვლილებები. ეს სტადია სასიკვდილო გართულებებით იმუქრება. გარდა აღნიშნულისა, განასხვავებენ ცერებრალურ და კარდიალურ ჰიპერტონიას. პირველ შემთხვევაში უსიამოვნო შეგრძნებები თავში ლოკალიზდება. ეს შეიძლება იყოს თავის ტკივილი, რომელიც, ჩვეულებრივ, დილით კეფის მიდამოში აღმოცენდება, ყურებში ხმაური, თავბრუ, გულისრევა, ცხვირიდან სისხლდენა, უძილობა, თვალების წინ შავი წერტილები. მეორე შემთხვევაში პაციენტს ჩვეულებრივ აწუხებს ტკივილი ბეჭის ქვეშ, მკერდში, ხელის თითებში ჩხვლეტა.

სამწუხაროდ, ბევრი სხვა დაავადების მსგავსად, ჰიპერტონია ხშირად დიდი ხნის განმავლობაში თავს არაფრით ამჟღავნებს.

ზოგიერთი ავადმყოფი წნევის ხტუნვას საერთოდ არ გრძნობს, ზოგჯერ კი მათი ორგანიზმი იმდენად ეჩვევა, რომ ასეთ მომენტებში პაციენტები თავს ძალიან კარგად გრძნობენ. ამიტომ ყოველმა ადამიანმა, განსაკუთრებით 40 წლის ზევით, წნევა რეგულარულად უნდა აკონტროლოს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, წნევა 140/90მმ-ზე ზევით მომატებულად ითვლება. წნევის მკვეთრი მომატება პათოლოგიის ნიშნად არ ითვლება. დღის სხვადასხვა მონაკვეთში და სხვადასხვა ფაქტორის (ემოციური განცდა, ფიზიკური და სექსუალური აქტივობა, ალკოჰოლის მიღება) ზეგავლენით მაჩვენებელი შეიძლება არსებითად მერყეობდეს. გაცილებით მნიშვნელოვანია, მომატებული წნევა ნორმას რამდენად სწრაფად უბრუნდება. როგორც წესი, ეს ნახევარ საათში უნდა მოხდეს.

ჰიპერტონია შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაავადება, მემკვიდრეობითი მიზეზებით, მავნე ჩვევებით, ხანდაზმულობის ასაკით და სისხლძარღვების ცუდი მდგომარეობით გამოწვეული.

არსებობს სიმპტომური ჰიპერტონიული დაავადებაც, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა დაავადებებთან: თირკმლების დაავადებებთან, თირკმლების არტერიებთან, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ფარისებური ჯირკვლის პათოლოგიებთან, გულის მანკთან. სიმპტომური ჰიპერტონიის სამკურნალოდ მხოლოდ არტერიული წნევის დამწევი პრეპარატების მიღება არასაკმარისია. პირველ რიგში საჭიროა ძირითადი დაავადების მკურნალობა.

ჰიპერტონიის თვითმკურნალობა არ შეიძლება. არტერიული წნევის დამწევ საშუალებებს მეტად ძლიერი მოქმედება აქვთ, ამიტომ წნევის უეცრად და ძლიერ დაწევას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. წამლის შერჩევა და დოზა ექიმის პრეროგატივაა.

სადღეისოდ ჰიპერტონიას მკურნალობენ არა ერთი წამლით, არამედ რამდენიმე პრეპარატის შერწყმით. შედეგად წნევა არამხოლოდ სტაბილურად ქვეითდება, ასევე გვერდითი ეფექტებიც მცირდება. თანამედროვე ახალ პრეპარატებს ხანგრძლივი მოქმედება აქვთ – დღეში ერთჯერადი მიღებით წნევას 24 საათის განმავლობაში აქვეითებს.

წნევის ძლიერ სწრაფად და მოკლე დროში დაგდება არ შეიძლება. ბევრად უფრო უსაფრთხოა ამის რამდენიმე თვის განმავლობაში 2-3 ეტაპად გაკეთება. ავადმყოფი სისხლის ახალ წნევას თანდათან ეჩვევა, ხოლო სწრაფად დაწევის დროს შეიძლება აღმოცენდეს გულის ან ტვინის იშემია (ადგილობრივი სისხლნაკლულობა, რაც გამოწვეულია მკვებავი არტერიების დაცობით ან დავიწროებით).

მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ პრეპარატის მიღების შეწყვეტა არ შეიძლება. ჰიპერტონია ქრონიკული დაავადებაა. ერთხელ აღმოცენებული, უკვე აღარ ქრება. ამიტომ წამლისმიერი თერაპია მუდმივი უნდა იყოს.



**აბზინდა** – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით 1 მ-ს აღწევს და მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო შეფერილობა აქვს. აბზინდა რთულყვავილოვანთა ოჯახს ეკუთვნის. ახასიათებს ძლიერი სპეციფიკური სუნი და მწარე გემო. ღერო სწორმდგომია და ზედა ნაწილში დატოტვილი.

აბზინდა შეიცავს ეთერზეთებს, მწარე გლიკოზიდებს, ფლავონებს,მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბინის მჟავას და კაროტინს.

აბზინდას პრეპარტები აძლიერებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჯირკვლების ფუნქციას, აძლიერებენ მადას და აუმჯობესებენ საჭმლის მონელებას აძლიერებენ საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციას და ნაღვლის და კუჭქვეშა ჯირკვლის წვენის გამოყოფას.

აბზინდას იყენებენ საჭმლის მონელების დარღვევის, მაღალი მჟავიანობის, მუცლის ჭრის, გასტრიტის, მეტეორიზმის, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ანემიის დროს. აბზინდას ნაყენი ან ფხვნილი აძლიერებს კუჭის წვენს, აქრობს უსიამოვნო სუნს პირიდან.

## სასარგებლოა, იცოდეთ



თმა, რომ სწრაფად გაგეზარდოთ, სახლის პირობებში შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ნიღბები.

***

ერთი უმი კვერცხის გული, 20 გრამი მცენარეული ზეთი, 20 გრამი. ლიმონის წვენი და 4 სუფრის კოვზი სტაფილოს წვენი. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში, ათქვიფეთ და შამპუნის მაგივრად გამოიყენეთ.

***

თმის სწრაფად გასაზრდელად გამოიყენეთ შემდეგი ნიღაბი: კომბოსტოს და ატმის წვენი, თაფლი და კვერცხი. 1 ჩ.კ. თაფლი 1 კვერცხის გულში აურიეთ, დაუმატეთ 2 კოვზი ატმის და 2 კოვზი კომბოსტოს წვენი (იგულისხმება გამოწურული და არა ნაყენი). წაისვით თავზე და შეიფუთეთ. ერთი საათის შემდეგ ჩამოიბანეთ ბავშვის საპნით ან საბავშვო შამპუნით.

***

1 ს.კ თაფლი, 1 ს/კ აბუსალათინის ზეთი, 1 კვერცხის გული. ჟელატინისებური მასა უნდა მიიღოთ, სასურველია თუ მხოლოდ წყლით ჩამოიბანთ, შამპუნის გარეშე.

კალეიდოსკოპი

## ბრიტანელმა პატიმრებმა ციხეში აჯანყება ზაზუნას სიკვდილს დაუკავშირეს



ერთ-ერთი ბრიტანული ციხის პატიმრებმა არეულობა მოაწყვეს. მათი უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზს ზაზუნას დაღუპვა დასახელდა, რომელიც ერთ-ერთ პატიმარს ეკუთვნოდა.

არეულობაში ოთხი პატიმარი მონაწილეობდა. ისინი ამტვრევდნენ ავეჯს და ამსხვრევდნენ ნათურებს, შემდეგ კი დამცავ ბადეზე აძვრნენ, რომელიც საპატიმროს სართულებს შორისაა გაჭიმული და მასზე ისხდნენ.

– მათ თან აიტანეს მატრასი, სკამები, საჭმელი, თამბაქო, „მონოპოლიაც“ კი, ასე რომ, როგორც ჩანს, იქ დიდხანს ყოფნას აპირებდნენ, – განაცხადა პროკურორმა გორდონ ასპდენმა.

პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს საკნებში ჩხრეკის ჩატარების გამო, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა, 23 წლის კაილ ბლეკიმ განაცხადა, რომ თავისი ზაზუნას დაღუპვის გამოა განაწყენებული.

საპატიმრო დაწესებულებაში კარგი ქცევის შემთხვევაში პატიმარს საკანში შინაური ცხოველის ყოლის უფლება ეძლევა.

ციხეში არეულობის ლიკვიდაციას, რომლისგან მიყენებულმა ზარალმა 12 ათასი ფუნტი შეადგინა, ოთხი საათი დასჭირდა. არეულობის მომწყობებმა თავი დამნაშავედ ცნეს. ისინი სხვადასხვა საკნებში გადაანაწილეს, მომავალში კი მათი სხვადასხვა საპატიმროში გადაყვანაა დაგეგმილი.

## იაპონიაში „მაკდონალდსმა“ კარტოფილი ფრი გოგრითა და შოკოლადით გამოუშვა



იაპონიაში სწრაფი კვების რესტორნების ქსელმა „მაკდონალდსმა“ ჰელოუინისთვის კარტოფილი ფრი გამოუშვა, რომელიც გოგრის ფანტელებითა და შოკოლადის სოუსითაა დამშვენებული.

ალსანიშნავია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ ასეთი უჩვეულო სახის კარტოფილი არა მხოლოდ ჰელოუნისთვის გამოიგონა. მიმდინარე წელს „მაკდონალდსი“ იაპონიის კუნძულებზე თავისი ყოფნის 45 წლისთავს აღნიშნავს.

## კარლ ლაგერფელდმა რობერტ პატინსონს სურათი დიორისთვის გადაუღო




დიზაინერმა კარლ ლაგერფელდმა ფილმ „ნისლის“ ვარსკვლავ რობერტ პატინსონს კომპანია დიორის ახალი კამპანიისთვის გადაუღო ფოტოსურათი. გადაღება პარიზში გაიმართა.

სურათები კომპანია დიორის გაზაფხულის კამპანიის ფარგლებში იქნა გადაღებული. პატინსონის ფოტოსურათის ხილვა საფრანგეთში, ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთსა და იტალიაში გამომავალ გამოცემებში იქნება შესაძლებელი.

ლაგერფელდმა რეკლამისთვის ნუარის ფილმების ჟანრის სტილი შეარჩია. ფოტოსესია დიზაინერის სტუდიის მახლობლად ჩატარდა.

– მიყვარს სურათების ღამით ქუჩებში გადაღება. ეს ჩემი გარეთა სტუდიაა, – განაცხადა დიზაინერმა.

თავის მხრივ პატისონმა პარიზის შეუდარებელი სილამაზე აღნიშნა, რომლის ქუჩები ღამით კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## მარია გრაცია კიურიმ თავისი პირველი კოლექცია წარმოადგინა




პარიზში მოდის კვირეულზე მარია გრაცია კიურიმ თავისი პირველი კოლექცია წარმოადგინა ფრანგული მოდის სახლ დიორისთვის.

კიური გახდა პირველი ქალი, რომელმაც კომპანია დიორის არსებობის ისტორიაში კრეატიული დირექტორის თანამდებობა დაიკავა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დებიუტი შესაბამისი გამოვიდა – დეფილეზე შეძლებდით გეხილათ მოდელები, რომლებიც ფემინისტური სლოგანებით გაფორმებული მაისურებით გამოდიოდნენ.

ახალი კოლექციის სანახავად დეფილეს ესწრებოდნენ მომღერალი რიანა, მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი, სუპერმოდელი კეიტ მოსი და სხვა ცნობილი პირები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# წითელ ჯგუფს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს

თეთრი ჯგუფიდან ესტაფეტა წითელმა ჯგუფმა გადაიბარა და მე-2 წრის პირველი ტურის მატჩებიც გაიმართა.

**საბურთალო-სიონი 1:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0:1 ვოლკოვი (25), 1:1 ხარაიშვილი (70პ)

**საბურთალო:** ქურდაძე, იაშვილი, კარასკო, მარგველაშვილი, ხარაიშვილი, ფანცულაია (კოხრეიძე 78), ჩაბრაძე, სანტიაგო ხარა (მამუჩაშვილი 86), ელვინ ტერა, ალთუნაშვილი (ვაგნერი 59), ფრანცისკო გარსია პენა

**სიონი:** დაუშვილი, ფოფხაძე, კასრაძე, გაფრინდაშვილი (გიორბელიძე 80), ხურცილავა, სვანიძე, თოთაძე, ვასაძე, ჯანელიძე, შუშკინი (კობახიძე 69), ვოლკოვი (სიხარულიძე 85)

საწყისი წუთები ბოლნისელების იყო – სტუმრები ძირითადად მეტოქის ნახევარზე აგორავებდნენ ბურთს. ერთ-ერთ ეპიზოდში კარგი შეტევაც განახორციელეს, თუმცა მცველებმა განმუხტეს მდგომარეობა. ტაიმის შუაში კი ქვემოქართლელები მაინც დაწინაურდნენ: ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, ვოლკოვმა ახლო მანძილიდან ბურთს ფეხი დაუხვედრა და გახსნა ანგარიში – 0:1.

გაშვებული გოლის შემდეგ, მასპინძლებს მალევე შეეძლოთ გათანაბრება – გიორგი ფანცულაიამ ახლო მანძილიდან ტექნიკურად დაარტყა, მაგრამ მეკარემ ბურთის კუთხურზე მოგერიება შეძლო. 37-ე წუთზე თბილისელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, ფანცულაიამ კარგად გაატარა ბურთი, რომელიც გიორგი ხარაიშვილს კი მიუვიდა, მაგრამ საბურთალოელთა კაპიტანმა დარტყმა დააგვიანა და მცველებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს.

მეორე ტაიმში პაბლო ფრანკო მარტინის შეგირდები უკეთ გამოიყურებოდნენ. 69-ე წუთზე ფანცულაიამ თავით ბურთი თანაგუნდელს დაუგდო, რის შემდეგაც ფრანცისკო გარსია პენა მეკარესთან პირისპირ გავიდა. ფორვარდი მეკარემ წააქცია, მსაჯმა კი უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. პენალტი ზუსტად გიორგი ხარაიშვილმა შეასრულა, რომელმაც ტექნიკური დარტყმით მეკარეს შუაში დაურტყა...

ცოტა ხანში ფანცულაიას კვლავ მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ისევ მეკარემ აჯობა. საბურთალოელებს ბოლოს გამარჯვებაც შეეძლოთ, როდესაც ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ხარაიშვილის დარტყმული ნიკა დაუშვილმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია და თავისიანები გაშვებული გოლისგან იხსნა.

**კოლხეთი-ზუგდიდი 2:0**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 ოზარკივი (24), 2:0 ჯღამაია (90)



**კოლხეთი:** თებიძე, კილასონია, ჟიშკარიანი, რამალდანოვი, გოგონაია, კერძევაძე, ბოლქვაძე, კორობკა, ოზარკივი, ნიქაბაძე, ლუკავა

**ზუგდიდი:** ლიტოვჩენკო, აფაქიძე, სუხომლინოვი, აქუბარდია (ერმაჩენკო 59), ჩუკვურა, ბეჭვაია, ზოზულია, ტყემალაძე, სამუშია (ჭანტურია 59), იოსელიანი, შეველი (ნარმანია 46)

მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა ფოთის კოლხეთმა. ზღვისპირელებმა ზუგდიდს ქობულეთის „ჩელე არენაზე" უმასპინძლეს და 2:0 დაამარცხეს მეტოქე. მათი მხრიდან გოლებით იგორ ოზარკივი და ლაშა ჯღამაია გამოირჩნენ.

მოპოვებული 3 ქულით გელა სანაიას გუნდმა მე-3 ადგილი განიმტკიცა და უახლოეს მდევრებს 3 ქულით გაასწრო.

**სამტრედია-დინამო (ბთ) 1:1**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

0:1 კვანტალიანი (40), 1:1 ზივზივაძე (60)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, შერგელაშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მთივლიშვილი (მჭედლიშვილი 56), დათუნაიშვილი, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი, გამყრელიძე (ჯიქია 77), არაბული, ზივზივაძე (ცნობილაძე 81)

**დინამო:** ტიმოფეევი, ტვილდიანი, გოგიტიძე, კვირკველია (მგელაძე 71), სუხიაშვილი, თარხნიშვილი, შონია, გეგეჭკორი, ქავთარაძე (თევდორაძე 81), კვანტალიანი (გორელიშვილი 59), ლობჟანიძე

სამტრედიაში წითელი ჯგუფის ლიდერთა დაპირისპირება გაიმართა. „ეროსი მანჯგალაძეზე" ადგილობრივმა გუნდმა ბათუმის დინამოს უმასპინძლა.

სტუმრებმა ანგარიშის გახსნა პირველი ტაიმის მიწურულს მოახერხეს: მე-40 წუთზე ნიკა კვანტალიანმა თავური დარტყმით აიღო მეტოქის კარი.

იმერლებმა წონასწორობის აღდგენა მე-60 წუთზე შეძლეს, აჭარელთა საჯარიმოში წარმოქმნილი არეულობით ბუდუ ზივზივაძემ ისარგებლა და ბურთი პრაქტიკულად ცარიელ კარში გადაგზავნა.

დარჩენილ დროში ორივე გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და ლიდერებმა ქულები გაინაწილეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 7 | 4 | 3 | 0 | 13-6 | 15 |
| 2.დინამო (ბთ) | 7 | 3 | 4 | 0 | 12-3 | 13 |
| 3.კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 6-8 | 12 |
| 4.საბურთალო | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 5.დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 10-9 | 9 |
| 6.სიონი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-12 | 5 |
| 7.ზუგდიდი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-14 | 3 |

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიო ლიგაზე ითამაშებს




საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ლიგის გათამაშებაში ზედიზედ მეორედ ითამაშებს. საქართველოს ნაკრების პროგრესი წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს და ჩვენს გუნდს მსოფლიოს ლიგაში თამაშის საშუალება ამჯერადაც მისცეს. მსოფლიოს ლიგის თამაშები წლეულს დაიწყება და გაისად, გაზაფხულზე დასრულდება.

გამართული წილისყრით 12 გუნდი რეიტინგის მიხედვით 3 ჯგუფში გადანაწილდა:

**ა ჯგუფი:** რუმინეთი, გერმანია, სლოვაკეთი, სერბეთი

**ბ ჯგუფი:** ჰოლანდია, ხორვატია, საბერძნეთი, საფრანგეთი

**ც ჯგუფი:** საქართველო, იტალია, თურქეთი, რუსეთი.

საქართველოს ნაკრები პირველი წრის საწყის ორ შეხვედრას შინ გამართავს: 15 ნოემბერს რუსეთს, 6 დეკემბერს კი თურქეთს უმასპინძლებს.

# საკალათბურთო სეზონს დუდუ დადიანის მემორიალი გახსნის



საკალათბურთო სეზონი ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშისა და კალათბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირი წელს მე-14-ედ გაიმართება. ტურნირი 5 ოქტომბერს დაიწყება, ხოლო ფინალური მატჩი 9 ოქტომბერს ჩატარდება.

დუდუ დადიანის მემორიალის მატჩები თბილისის სპორტის ახალ სასახლეში გაიმართება და მასში მონაწილეობას სუპერლიგის 6 გუნდი მიიღებს. მემორიალში მონაწილეობას არ მიიღებენ სუპერლიგის გუნდები – ბათუმი და კაკტუსი, ხოლო დანარჩენები ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: ქუთაისი, სოხუმი, რუსთავი

ბ ჯგუფი: დინამო, მგზავრები, ოლიმპი.

ჯგუფებში მატჩები ერთ წრედ ჩატარდება, რის შემდეგაც პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალურ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან.

აქამდე გამართული დუდუ დადიანის 13 მემორიალიდან ყველაზე მეტჯერ ტიტული რუსთაველებს მოუგიათ. 2006-10 წლებში, როცა ენერჯი-ინვესტის სახელით გამოდიოდნენ, ქვემოქართლელებმა დადიანის მემორიალი ზედიზედ 5-ჯერ მოიგეს.

# შედეგები

**2 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-სტოკი ........ 1:1
ლესტერი-საუთჰემპტონი ........ 0:0
ტოტენჰემი-სიტი ........ 2:0
ბარნლი-არსენალი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 7 | 6 | 0 | 1 | 18-7 | 18 |
| 2.ტოტენჰემი | 7 | 5 | 2 | 0 | 12-3 | 17 |
| 3.არსენალი | 7 | 5 | 1 | 1 | 16-7 | 16 |
| 4.ლივერპული | 7 | 5 | 1 | 1 | 18-10 | 16 |
| 5.ევერტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-5 | 14 |
| 6.მანჩესტერი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-8 | 13 |
| 7.ჩელსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-9 | 13 |
| 8.კრ.პალასი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 10.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| 11.უოტფორდი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-13 | 8 |
| 12.ლესტერი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 8 |
| 13.ბორნმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| 14.ბარნლი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 7 |
| 15.ჰალი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-14 | 7 |
| 16.მიდლსბრო | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 17.სუონსი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-17 | 4 |
| 19.სტოკი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-16 | 3 |
| 20.სანდერლენდი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-13 | 2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ატლეტიკო ........ 0:2
რეალი-ეიბარი ........ 1:1
ესპანიოლი-ვილიარეალი ........ 0:0
მალაგა-ბილბაო ........ 2:1
სელტა-ბარსელონა ........ 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 7 | 4 | 3 | 0 | 14-2 | 15 |
| 2.რეალი | 7 | 4 | 3 | 0 | 16-7 | 15 |
| 3.სევილია | 7 | 4 | 2 | 1 | 13-10 | 14 |
| 4.ბარსელონა | 7 | 4 | 1 | 2 | 22-10 | 13 |
| 5.ვილიარეალი | 7 | 3 | 4 | 0 | 9-4 | 13 |
| 6.ბილბაო | 7 | 4 | 0 | 3 | 10-8 | 12 |
| 7.ლას პალმასი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-13 | 11 |
| 8.ეიბარი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 9.სოსიედადი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-9 | 10 |
| 10.სელტა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-11 | 10 |
| 11.ლეგანესი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-10 | 10 |
| 12.ალავესი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 13.დეპორტივო | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 14.მალაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-9 | 8 |
| 15.ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-12 | 8 |
| 16.ხიხონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-16 | 7 |
| 17.ესპანიოლი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-14 | 6 |
| 18.ვალენსია | 7 | 2 | 0 | 5 | 9-14 | 6 |
| 19.ოსასუნა | 7 | 0 | 3 | 4 | 7-15 | 3 |
| 20.გრანადა | 7 | 0 | 2 | 5 | 7-16 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უკამი-მირანდესი ........ 2:2
ხირონა-რეუსი ........ 1:0
ლევანტე-ვალიადოლიდი ........ 3:2
ოვიედო-ნუმანსია ........ 2:2
ტენერიფე-ხეტაფე ........ 0:0
რაიო-კადისი ........ 3:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-მაინცი ........ 0:0
შალკე-გლადბახი ........ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 16-2 | 16 |
| 2.ჰერტა | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 3.დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 16-6 | 12 |
| 4.კიოლნი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| 5.ლაიპციგი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-5 | 12 |
| 6.ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-9 | 10 |
| 8.აინტრახტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 9.გლადბახი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-10 | 10 |
| 10.ფრაიბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-9 | 9 |
| 11.მაინცი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-11 | 8 |
| 12.აუგსბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 13.ვოლფსბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 14.დარმშტადტი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-12 | 5 |
| 15.ვერდერი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-17 | 4 |
| 16.შალკე | 6 | 1 | 0 | 5 | 6-10 | 3 |
| 17.ინგოლშტადტი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-12 | 1 |
| 18.ჰამბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-12 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვიურცბურგერი-მიუნხენ 1860 ........ 2:0
კაიზერი-არმინია ........ 0:0
ჰაიდენჰაიმი-ბრაუნშვაიგი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-იუვენტუსი ........ 0:3
ატალანტა-ნაპოლი ........ 1:0
ბოლონია-ჯენოა ........ 0:1
კალიარი-კროტონე ........ 2:1
სამპდორია-პალერმო ........ 1:1
მილანი-სასუოლო ........ 4:3
ტორინო-ფიორენტინა ........ 2:1
რომა-ინტერი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-4 | 18 |
| 2.ნაპოლი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| 3.რომა | 7 | 4 | 1 | 2 | 16-9 | 13 |
| 4.ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 13-7 | 13 |
| 5.კიევო | 7 | 4 | 1 | 2 | 9-6 | 13 |
| 6.მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-10 | 13 |
| 7.ტორინო | 7 | 3 | 2 | 2 | 13-8 | 11 |
| 8.ჯენოა | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 9.ინტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 10.კალიარი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-13 | 10 |
| 11.ბოლონია | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 12.ატალანტა | 7 | 3 | 0 | 4 | 10-12 | 9 |
| 13.სასუოლო | 7 | 3 | 0 | 4 | 9-12 | 9 |
| 14.ფიორენტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 15.სამპდორია | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 16.უდინეზე | 7 | 2 | 1 | 4 | 6-12 | 7 |
| 17.პესკარა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 18.პალერმო | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 19.ემპოლი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-11 | 4 |
| 20.კროტონე | 7 | 0 | 1 | 6 | 5-16 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-ლატინა ........ 2:2
ასკოლი-სპეცია ........ 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ანჟე-მარსელი ........ 1:1
ნიცა-ლორიანი ........ 2:1
ლიონი-სტ.ეტიენი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 8 | 6 | 2 | 0 | 14-5 | 20 |
| 2.მონაკო | 8 | 6 | 1 | 1 | 22-9 | 19 |
| 3.პსჟ | 8 | 5 | 1 | 2 | 17-6 | 16 |
| 4.ტულუზა | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 5.ლიონი | 8 | 4 | 1 | 3 | 15-9 | 13 |
| 6.ბორდო | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 7.რენი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 8.მეცი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-15 | 13 |
| 9.სტ.ეტიენი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| 10.გენგამი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 11.ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 6-6 | 10 |
| 12.ანჟე | 8 | 3 | 1 | 4 | 8-9 | 10 |
| 13.კაენი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-14 | 10 |
| 14.მარსელი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-10 | 9 |
| 15.დიჟონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| 16.ნანტი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-8 | 8 |
| 17.მონპელიე | 8 | 1 | 4 | 3 | 9-15 | 7 |
| 18.ლილი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-14 | 7 |
| 19.ლორიანი | 8 | 2 | 0 | 6 | 5-13 | 6 |
| 20.ნანსი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-10 | 5 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

სპარტა-ალკმაარი ........ 1:1
ჰერაკლესი-ტვენტე ........ 1:1
ტილბურგი-ფეიენოორდი ........ 0:2
აიაქსი-უტრეხტი ........ 3:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბენფიკა-ფეირენშე ........ 4:0
სეტუბალი-მარიტიმუ ........ 0:1
ბოავიშტა-მორეირენშე ........ 2:0
აროუკა-სპორტინგი ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ამკარი ........ 1:1
ზენიტი-სპარტაკი ........ 4:2
კრასნოდარი-რუბინი ........ 1:0
როსტოვი-ცსკა ........ 2:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-დ.იუნაიტედი ........ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-ლუგანო ........ 4:1
იანგ ბოიზი-სტ.გალენი ........ 2:2
გრასჰოპერსი-ლუცერნი ........ 3:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-შტურმი ........ 0:1
რიდი-რაპიდი ........ 4:2
აუსტრია-სტ.პოლენი ........ 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბრიუგე-გენტი ........ 1:0
სტდანდარდი-ანდერლეხტი ........ 0:1
გენკი-მეხელენი ........ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-პაოკი ........ 0:0
პანათინაიკოსი-ასტერასი ........ 3:1
პლატანიასი-პანეთოლიკოსი ........ 0:0
ოლიმპიაკოსი-აეკი ........ 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-ბაშაკშეჰირი ........ 0:5
გალათასარაი-ანტალია ........ 3:1
ქონია-ადანა ........ 1:0
ოსმანლი-ფენერბახჩე ........ 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბრნო-სპარტა ........ 3:3
ლიბერეცი-ტეპლიცე ........ 2:0
პლზენი-ჰრადეც კრალოვე ........ 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-კორონა ........ 6:0
შლიონსკი-ნეცეჩა ........ 1:2
იაგელონია-პოგონი ........ 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვოლინი-კარპატი ........ 1:1
შახტარი-ზორია ........ 1:0
დინამო-ზვეზდა ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-სონდერიისკე ........ 0:1
ლუნგბიუ-მიდტიულანდი ........ 1:0
ვიბორგი-კოპენჰაგენი ........ 0:0
ბრონდბიუ-რანდერსი ........ 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ელფსბორგი ........ 2:2
კალმარი-გიოტებორგი ........ 4:2
აიკი-ნორჩიოპინგი ........ 6:0
დიურგარდენი-იორებრო ........ 3:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ჰაუგესუნდი-სარპსბორგი ........ 1:1
ალესუნდი-ოდ გრელანდი ........ 1:0
რუსენბორგი-ვალერენგა ........ 3:1
ტრომსო-მიოლდე ........ 0:2
ვიკინგი-სტარტი ........ 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-როვანიემი ........ 1:0
მარიჰამნი-პკ 35 ........ 4:2
კუუპიო-ინტერი ........ 0:2
ლახტი-ილვესი ........ 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# დავით ქევხიშვილი ისევ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტია

დავით ქევხიშვილი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად ახალი ოთხწლიანი ვადით აირჩიეს. ძიუდოს ფედერაციის ყრილობას, რომელიც სასტუმრო „ბილტმორ თბილისში" ჩატარდა 36 დელეგატიდან 30 ესწრებოდა.

დავით ქევხიშვილი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო. დამსწრე დელეგატებმა მის კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

პრეზიდენტად არჩევამდე დავით ქევხიშვილმა დელეგატებს და მოწვეულ სტუმრებს თავისი ოთხწლიანი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა. ყრილობამ, პრეზიდენტის წარდგინებით, პირველ ვიცე-პრეზიდენტად დავით ხახალეიშვილი დაამტკიცა, ვიცე-პრეზიდენტებად – ზაზა გულბიანი, ზაქრო კევლიშვილი და ცეზარ ჩოჩელი, ხოლო გენერალურ მდივნად – გიორგი ათაბეგაშვილი.

დელეგატებმა ასევე აღმასრულებელი კომიტეტის ახალი შემადგენლობა დაამტკიცეს.

# რაიან გიგსი შესაძლოა სუონსის მწვრთნელი გახდეს



უელსურმა გუნდმა სუონსი სიტომ პრემიერ ლიგაში ძალიან ცუდი სტარტი აიღო. საწყის 7 შეხვედრაში სუონსის მხოლოდ ერთი მოგება და ფრე აქვს და გუნდი გასავარდნ ზონაში იმყოფება.

ამის გამო სუონსის ხელმძღვანელობა სერიოზულად ფიქრობს იტალიელი მწვრთნელის ფრანჩესკო გვიდოლინის თანამდებობიდან განთავისუფლებაზე. მის სავარაუდო შემცვლელს უელსელები უკვე ეძებენ და ის შესაძლოა რაიან გიგსი აღმოჩნდეს, რომელიც სეზონის დასაწყისში მანჩესტერ იუნაიტედიდან წავიდა და ამჟამად არცერთ გუნდში არ მუშაობს.

სუონსის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

# ინიესტას იუბილე, ბარსას ცუდი სტარტი და პიკეს პირველი დუბლი



ესპანური პრიმერას მე-7 ტურის მატჩში ბარსელონა სტუმრად სელტასთან 3:4 დაამარცხა.

ეს მატჩი გუნდის კაპიტნისთვის, ანდრეს ინიესტასთვის ბარსელონას მაისურით მე-600 გამოდგა. 32 წლის ფეხბურთელი სტადიონზე სათადარიგოდან მეორე ტაიმში შევიდა და საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

ინიესტა კატალონიურ კლუბში ჩატარებული მატჩების რაოდენობით მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ ჩავი ერნანდესს ჩამორჩება (767).

კაპიტნის საიუბილეო მატჩი ვერ დააფასა თავად ბარსელონამ. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში სელტა 3:0-ს იგებდა. უკანასკნელად კატალონიელებმა პირველ ტაიმში ამდენი გოლი 2007 წლის 20 ოქტომბერს გაუშვეს. მაშინ ბარსელონა სტუმრად ვილიარეალს უპირისპირდებოდა, 34-ე წუთზე კი სხვაობა სამბურთიანი გახლდათ.

სადღეისოდ ბარსელონას 7 ტურის შემდეგ მხოლოდ 13 ქულა აქვს. ბოლოს კატალონიელებმა უარესი შედეგი 2005-06 სეზონში დააფიქსირეს, როდესაც პირველ შვიდ ტურში კლუბს მხოლოდ 10 ქულა ჰქონდა.

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულ სეზონში ბარსელონა საბოლოოდ ჩემპიონი მაინც გახდა.

ერთიც: ბარსას 29 წლის ესპანელმა მცველმა, პიკემ სელტას წინააღმდეგ დუბლი გაიფორმა. ესპანელი მცველისთვის ერთ მატჩში გატანილი ორი გოლი ბარსელონას მაისურით ყველა ტურნირზე პირველია.

# რიგობერტ სონგმა გულის შეტევა გადაიტანა



ყოფილმა კამერუნელმა ფეხბურთელმა რიგობერტ სონგმა, რომელიც ამჟამად კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, გულის შეტევა გადაიტანა.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ყოფილი ფეხბურთელი ჯერ კიდევ კომაშია.

სონგმა თავი შეუძლოდ საკუთარ სახლში იგრძნო, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. არ არის გამორიცხული, სონგმა მკურნალობა საფრანგეთში გააგრძელოს. მის არყოფნაში კამერუნის ნაკრებს სონგის თანაშემწე უხელმძღვანელებს.

რიგობერტ სონგი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო და კარიერის მანძილზე მან საკმაოდ ბევრ გუნდში ითამაშა, რომელთაგანაც შეგვიძლია ლივერპული და გალათასარაი გამოვყოთ.

# ული ჰიონესი ბაიერნის პრეზიდენტი გახდება



გერმანული სააგენტოების ცნობით, მიუნხენის ბაიერნის დირექტორთა საბჭომ კლუბის საპრეზიდენტო არჩევნებზე მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი 64 წლის ული ჰიონესი დაარეგისტრირა. ასე რომ, 25 ნოემბერს პრეზიდენტის პოსტს კვლავ დიდი ული დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ ული ჰიონესმა პრეზიდენტის პოსტი სახელმწიფოსთვის გადასახადების დამალვის სკანდალის შემდეგ დატოვა. რეკორდმაისტერის ყოფილ პრეზიდენტს 2014 წელს დანაშაული დაუმტკიცდა და სასამართლომ სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა 21 თვიანი პატიმრობის შემდეგ ული დროზე ადრე გამოუშვეს ციხიდან.

მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტის არჩევნები 25 ნოემბერს გაიმართება. ული ჰიონესის არყოფნაში მთელი ამ დროის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობას კარლ ჰოპფნერი იკავებდა, თუმცა ულის განთავისუფლების შემდეგ ჰოპფნერმა განაცხადა, რომ ბაიერნის პრეზიდენტის პოსტზე ულის კონკურენტი არ ჰყავს და საკუთარი კანდიდატურა არ წარადგინა.

ჰიონესი მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტის პოსტს 2006-13 წლებში იკავებდა, მანამდე კი კლუბში სპორტული დირექტორის თანამდებობაზეც გახლდათ დანიშნული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ვალენსიას ჩეზარე პრანდელი უთავკაცებს



ვალენსიას ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს იტალიელი ჩეზარე პრანდელის სახით. პრანდელი უკვე ვალენსიაში იმყოფება, სადაც ის მალე შეუდგება მუშაობას. პრანდელის თქმით, ვალენსიას ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, რომლებსაც უბრალოდ შეთამაშება სჭირდებათ.

ვალენსიამ ესპანეთის ჩემპიონატში ძალიან ცუდი სტარტი აიღო და ამჟამად 6 ქულით მე-17 პოზიციაზე იმყოფება.

ჩეზარე პრანდელის საკმაოდ დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს, თუმცა ის ძირითადად იტალიურ კლუბებში მუშაობდა.

2010-დან 2014 წლამდე პრანდელი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# თვითმფრინავის საბარგულში მებარგული დარჩათ

თვითმფრინავმა, რომელიც პორტუგალიიდან ანგოლაში მიფრინავდა, იძულებითი ავარიული დაშვება განახორციელა ლისაბონის აეროპორტში, როდესაც მებარგულის დაკარგვის თაობაზე გავრცელდა ინფორმაცია.

ლისაბონის აეროპორტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რუი ოლივეირამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კომპანია ანგოლა ეირის საჰაერო ხომალდი ადგილობრივი დროით დაახლოებით 10:00 საათზე აფრინდა. თვითმფრინავი პორტოდან ლუანდაში მიფრინავდა. აფრენიდან დაახლოებით ერთ საათში განხორციელდა მისი დაუგეგმავი დაშვება, ვინაიდან პორტოში აღმოჩნდა, რომ მებარგული იყო დაკარგული.

თვითმფრინავის დაშვების შემდეგ მამაკაცი საბარგო განყოფილებაში ცოცხალი აღმოაჩინეს, თუმცა გადაციებული. ოლივეირას თქმით, მებარგული საავადმყოფოში იქნა მოთავსებული და მის მდგომარეობას ექიმები სტაბილურად აფასებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



# ასტროპროგნოზი
## 4 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. აგატა კრისტის ნაწარმოებთა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, დეტექტივი; 5. საახალწლო ტკბილეული; 8. ბაღჩეული ხილი; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი, თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 21. ნორვეგიის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრული თავსატეხი; 9. უბანი თბილისში; 10. მეცნიერების, ხელოვანთა მდიდარი მფარველი; 11. სასჯელი ქურდობისთვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. დესპანი; 4. კოლობუსი; 7. კრონი; 9. ცინკი; 12. კირილე; 13. პორშე; 14. ჰავანი; 17. მესკია; 18. კოსმოგრაფია; 19. მიოზიტი; 20. თამადა.

**შვეულად:** 1. დეკი; 2. პუნში; 3. ილაჯი; 4. კერპი; 5. ლიტერი; 6. სკალპელი; 8. დროზომეტრი; 10. კატალეფსია; 14. ჰექტორ; 15. ვასაკა; 16. ბარდა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიავი; 2. ისარა; 3. ოპელი; 4. ზეინაბ; 5. ვანუატუ; 6. ეზო; 7. კაა; 8. ორე; 9. რიზ; 10. ლოკი; 11. ბია; 12. ლეირდი; 13. ალიგოტე; 14. კოლუმბია; 15. აპოლოგეტი; 16. პატრი; 17. ანშლაგი; 18. თორა; 19. სარი; 20. ოსტი; 21. სოსტენუტო; 22. თარაშ; 23. რუ; 24. პატრიცა; 25. მალაგა; 26. არლი; 27. ფანტელი; 28. კასიო; 29. აჩუ; 30. ჩალხია; 31. ურცი; 32. მიხა; 33. მადამ; 34. სამაია; 35. ბუ.

**სურათებზე:** სარა მიშელ გელარი; ეშლი იანგი.

## ქუთაისის ოპერის თეატრი სეზონს პრემიერით ხსნის



ქუთაისის ოპერის თეატრი 48-ე თეატრალურ სეზონს „ტრავიატას“ პრემიერით გახსნის.

4 ოქტომბერს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში პრემიერაა, წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის შედევრი, მისი ერთ-ერთი ყველაზე სულისშემძვრელი და პოეტური ქმნილება ოპერა „ტრავიატა“.

საპრემიერო სპექტაკლზე იმუშავა არაერთგზის ნაცადმა, წარმატებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თემურ არსენიძისა და ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის შემადგენლობით.

„ტრავიატას“ საპრემიერო წარმოდგენაში მთავარ როლებს შეასრულებენ ნაირა კიკოლიაშვილი, ანზორ ხიდაშელი, ბაკურ კვირიკაშვილი, ნუცა ზაქაიძე, მარიეტა მაჩალაძე, იოსებ კიწმარიშვილი, კალისტრატე ხარჩილავა, ემილ ჩარგაზია, აკაკი იოსელიანი.

თეატრის გუნდი საპრემიეროდ მთავარმა ქორმაისტერმა ნათია გოგუაძემ მოამზადა. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი წარუძღვება.

## გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი აღარ დაინგრევა



სოფელ ჭყვიში მდებარე გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. კულტურის სამინისტროს ინიციატივით, მუზეუმში შესაბამისი სამუშაოები დაიწყო და დღის წესრიგში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საგამოფენო დარბაზის რემონტიც დადგა.

გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზი ავარიულობის გამო წლებია არ ფუნქციონირებს. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა მოამზადა შენობის სარეაბილიტაციო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, მიხეილ გიორგაძის უწყებამ კი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 258 ათასი ლარი გამოყო.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ოქტომბრის ბოლოს დაიწყება. შეკეთდება სახურავი, მოეწყობა ფასადი, ინტერიერი, განათება, გათბობა, ასევე, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის მისასვლელი პანდუსი. სამუშაოები სოფელ ჭყვიში მდებარე ტაბიძეების სახლ-მუზეუმში წლის ბოლომდე დასრულდება.

## სამგლოვიარო განცხადებები

ცოლისძმა ანზორ ბურჯანაძე, თინა (სუსანა), ნინო ბურჯანაძეები, ბადრი, ანზორ, რევაზ ბიწაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიძე

**ჟორა ლარცულიანი**

პანაშვიდი: სამშაბათი, ოთხშაბათი.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ქ. ბოლნისი, ბოლნელის ქ. №5.

შვილები მიტო (დიმიტრი), მალინა, ჯამბული, ნარგიზა ჭანტურიები, შვილიშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსათნოესი ქალბატონის

**თამარ პაპავა-ჭანტურიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 4 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანი (თეთრი ტბა) კობახიძის №9.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ნანული სარაჯიშვილი ეკატერინბურგში საუკეთესოდ დაასახელეს



მსახიობი ნანული სარაჯიშვილი ეკატერინბურგში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესოდ მსახიობ ქალად დაასახელეს.

რუსთაველის თეატრის მსახიობს სპეციალური ჯილდო და დიპლომი გადაეცა. ეკატერინბურგში პირველად ჩატარდა ურალის რუსული კინოს ღია ფესტივალი, სადაც 14 საკონკურსო ფილმი მონაწილეობდა. მათ შორის იყო რეჟისორ ალექსანდრ ამუროვის კომედიური ჟანრის ფილმი „ტილი და ტოლი“, სადაც ნანული სარაჯიშვილი მონაწილეობს.

ამ ფილმში შესრულებული სოფიკოს როლისთვის ნანული სარაჯიშვილი ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა და სპეციალური პრიზით და დიპლომით დაჯილდოვდა. სამწუხაროდ, მსახიობმა ეკატერინბურგში ჩასვლა ვერ შეძლო და მისთვის განკუთვნილი ჯილდო ფილმის რეჟისორმა ალექსანდრ ამუროვმა აიღო.

## „სხვისი სახლი“ ორი პრიზით დააჯილდოვეს



საქართველოს სახელით ოსკარზე წარდგენილი რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“ ორი პრიზით დააჯილდოვეს.

რუსუდან გლურჯიძის ნამუშევარმა ერთდროულად ორი პრიზი მოიპოვა – გრანპრი ევრაზიის საერთაშორისო კინოფესტივალზე და ნეტპაკის პრიზი.

ნეტპაკი საერთაშორისო კულტურული ორგანიზაციაა, რომელიც კინემატოგრაფისტებს, კინოკრიტიკოსებს და სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორებს აერთიანებს.

ფილმი „სხვისი სახლი“ ორი დღის წინ გრანპრის მფლობელი გახდა ნორვეგიაში, ბერგენის საერთაშორისო კინოფესტივალზე. მანამდე კი კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი მოიპოვა.

## გია ყანჩელის საჩუქარი მსმენელს



კომპოზიტორმა გია ყანჩელმა თავის ერთგულ მსმენელს საჩუქარი მოუმზადა. თავისი ახალი ნაწარმოები, რომელიც სიმფონიური ორკესტრისთვის დაწერა, საქართველოში პირველად შესრულდება.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი და ნიკოლოზ რაჭველი, წარმოადგენს გია ყანჩელის ნაწარმოების პირველ შესრულებას საქართველოში.

ღონისძიებაში მონაწილეობს ანტვერპენის სამეფო კონსერვატორიის სტუდენტი, მევიოლინე ლეონ ბლეხი, დირიჟორი ნიკოლაი ალექსეევი, რომელიც პეტერბურგის ფილარმონიული ორკესტრის დირიჟორია.

კონცერტზე შესრულდება კარლ მარია ვებერის ოვერტიურა „ობერონი“ და მაქს ბრუხის კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის.

## ნელი აგირბა გათხოვდა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი, კურიერის წამყვანი ნელი აგირბა გათხოვდა.

ნელი აგირბას სატელევიზიო კარიერა პირველ არხზე დაიწყო, სადაც თავისი შვილების მამას, შოუმენ ილო ბეროშვილს შეხვდა. წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს. მათი ოჯახი მყარი არ გამოდგა და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. მცდელობის მიუხედავად, ნელიმ და ილომ ურთიერთობა ვეღარ ააწყვეს.

ილო ბეროშვილის ყოფილი მეუღლე ცოლად იურისტ ირაკლი ძიმისტარაშვილს გაჰყვა. ირაკლის მოზარდი ბიჭი ჰყავს, რომელსაც თვითონ ზრდის.

წყვილის დაქორწინების შესახებ ინფორმაცია ნელი აგირბას კოლეგამ, რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა დავით ქაშიაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ნელი აგირბა-ძიმისტარაშვილის და ირაკლი ძიმისტარაშვილის ქორწილი. ირმის ნახტომის გალაქტიკაში ყველაზე მაგარი დღეობა.

ნელიმ და ირაკლიმ ხელი სიღნაღში მოაწერეს და გაბედნიერება უახლოესი მეგობრების გარემოცვაში აღნიშნეს. გავრცელებული ფოტოებით შეიტყვეს ნელის გაბედნიერება მისმა კოლეგებმა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### კალეიდოსკოპი

## ანჯელინა ჯოლიმ ბავშვებზე ზრუნვის უფლება მიიღო



ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა დროებით შეთანხმებას მიაღწიეს ბავშვებზე ზრუნვის საკითხში. ეს ინფორმაცია მას მედიას წყვილთან დაახლოებულმა წყარომ მიაწოდა.

საქმის მოსმენა ლოს-ანჯელესის ოჯახური და ბავშვთა საკითხების საოლქო დეპარტამენტში გაიმართა. შეთანხმების თანახმად, ჯოლი ექვსივე ბავშვზე მზრუნველობის უფლებას 30 ოქტომბრამდე იღებს. თავის მხრივ, პიტს ბავშვების მონახულება ექიმის თანდასწრებით შეეძლება. გარდა ამისა, დროდადრო მსახიობს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე ანალიზების ჩაბარება მოუწევს.

ასევე, მეუღლეებს დაევალათ კონსულტაცია გაიარონ ფსიქოლოგთან ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ კი ფსიქოთერაპიის სპეციალისტთან ბავშვებთან ერთად მივიდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეთანხმება სამი კვირითაა დადებული, რის შემდეგაც დეპარტამენტი ან ახალ პირობებს შეიმუშავებს, ან საქმეს სასამართლოში გადააგზავნის.

ასევე ცნობილი გახდა, რომ წყვილი არ აპირებს საფრანგეთში მათი კუთვნილი ცნობილი შატო მირვალის გაყიდვას.

– შატო არ იყიდება, – განაცხადა მარკ პერენმა, რომელიც წყვილის საქმიანი პარტნიორია და იქვე დასძინა, რომ მამულში ღვინის წარმოების ბიზნესი ჩვეულებრივ მიმდინარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**სამშაბათი 4 ოქტომბერი**

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. მეგაშტორმი" 08.00 ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**ტყუპები**" 15.00, 22.15 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ეშმაკის სამკუთხედი" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 "ინტერვიუ სალომე ასათიანთან ერთად" 23.15 მხ/ფ "**ჭეშმარიტი ფასეულობა**"(რ.ზელვეგერი) 01.30 მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**"

08.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" 09.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10. 15 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "სტივენ ჰ ოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" 18.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 21.00 "არჩევნები 2016" 22.00, 01.00 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 ს დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ცოდნა ფულია 23.30 სერ. "**ჰეროკრატია** (9+1)" 00.30 გრიფით საიდუმლო 01.00 მხ/ფ "**რემბო 4**" 03.15 მხ/ფ "**სისხლით და ოფლით**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი - 2016

სპორტ ტაიმი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 სპექტაკლი "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30"განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 პატერიკი-გაწმენდილი სულის სხეულიდან გასვლა 10.40 არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია "ბაღდათი" 11.00 დ/ფ "აკაკი" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**რას გინახავს ვეღარ ნახავ**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ტელეზღაპარი "ამბავი სამი დევისა" 15.40 დ/ფ "მსოფლიო საგანძური" 15.50 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.30 სიმღერის კვალდაკვალ "ურმული" 17.05 დ/ფ "ცამეტი ასურელი მამის ნამოღვაწარი" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" 1 ნაწ. 20.15 კვირიაკის სიუჟეტი 20.40 ძილი ნებისა "კონკია" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 22.45 ქრისტიანული სწავლება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.50 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.40, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05, 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.10 "ბიზნეს კონტაქტი" 13.00 სერ. "**ვერონიკა**" 14.05, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35, 2.00 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 19.45 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 22.55 "აკრედიტაციის გარეშე" 23.20 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3297 |
| ევრო | 2.6037 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0226 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6790 |

## ამინდის პროგნოზი 4 ოქტომბრისთვის





## 30 სექტემბრიდან
## სოლომონ მეფის საგანძური

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მაგარი ყდა,
248 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი






## 4 ოქტომბრიდან




## ღვინის დაგემოვნება

მაგარი ყდა
208 გვერდი
ფორმატი 17/22,5

„პრაქტიკული კურსი – ღვინის დაგემოვნება“ დაგეხმარებათ, აღმოაჩინოთ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოები; გაიგოთ, სურნელისა და არომატის როგორი ბუკეტი ახასიათებს ამა თუ იმ ღვინოს და რას ნიშნავს ღვინის სხეულიანობა, სიღრმე, სიხალასე თუ სისავსე.

აქვე ქართული ღვინოების შესახებაც იპოვით ინფორმაციას და წაიკითხავთ მსოფლიოში უნიკალური, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული მეთოდის შესახებ.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## გერჰარდ რიხტერის ნახატი შესაძლოა 20 მილიონად გაიყიდოს

გერმანელი მხატვარის გერჰარდ რიხტერის ნახატი ბრიტანელი მუსიკოსის ერიკ კლეპტონის კოლექციიდან შესაძლოა 20 მილიონ დოლარად გაიყიდოს.

ვაჭრობას აუქციონის სახლი კრისტი გამართავს და ის 15 ნოემბერს ნიუ-იორკში ჩატარდება.

„აბსტრაქტული სურათი“ – წარმოადგენს ნახატს 1994



წლის სერიიდან, რომელიც ოთხი ნამუშევრისგან შედგება. ერთ-ერთი მათგანი ბრიტანეთის გალერეა ტეიტისა და შოტლანდიის ეროვნული გალერეის ერთობლივ კოლექციაში ირიცხება.

დანარჩენი სამი კლეპტონმა აუქციონზე 2001 წელს შეიძინა. 2012 წელს ერთი ნახატი აუქციონზე 34,2 მილიონ დოლარად გაიყიდა, 2013 წელს მეორე თითქმის 20,9 მილიონად გაყიდეს.

2015 წელს რიხტერის „აბსტრაქტული სურათი“, რომელიც 1986 წელსაა შექმნილი 46,3 მილიონ დოლარად გაიყიდა, რაც ცოცხალი ევროპელი მხატვრების ნამუშევრებში გადახდილი რეკორდული თანხაა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

ერთმა დაქალმა მშობიარობის მერე მეორე მოინახულა და ეუბნება:

– შენი შვილი კოპიო მამისია.

– ეგ საშიში არ არის, მთავარია ჯანმრთელი იყოს.

•••

ავტოგასამართ სადგურზე:

– უნდა გაგაფრთხილოთ, რომ დღეიდან ბენზინი გაძვირდა.

– კარგით. მაშინ გუშინდელი ჩამისხით.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შენი ქმარი გიყვარს?

– რა, სხვებზე ნაკლებია?!

•••

მამაკაცი მეზობლის 3 წლის ბავშვს ეკითხება:

– როგორაა საქმე?

– კარგად.

– საბავშვო ბაღში დადიხარ?

– დიახ.

– იქ ვისთან თამაშობ?

– ბიჭებთან.

– და გოგონებთან რატომ არ თამაშობ?

– ფული არ მაქვს...

•••

ღმერთმა მამაკაცს ნეკნი ამოაცალა, მისგან ქალი შექმნა და კაცს უთხრა:

– სულს თვითონ ამოგაცლის...

•••

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, დაიმახსოვრე: დიდი ქალები დიდი სამუშაოსთვის არიან შექმნილები, ხოლო პატარები...

– ვიცი, მამა, სიყვარულისთვის!

– არა. პატარა სამუშაოსთვის.

•••

ტურისტულ სააგენტოში რეკავენ:

– ალო, ეგვიპტეში საგზურები გაქვთ?

– დიახ, რა თქმა უნდა...

– თუ შეიძლება მითხარით, რომელი კურორტებია იქ?

– შარმ-ელ-შეიხი, ჰურგადა, ტაბა, ნუვეიბა...

– ნუვეიბა ხომ? სწორეა, ნუვეიბა მიდის!

– და როდისთვის გსურთ გამგზავრება?

– არა, უბრალოდ კროსვორდს ვავსებ. მადლობა, ნუვეიბა ჩაჯდა.

•••

მოხუცმა ქალმა პროტესტის ნიშნად საკუთარი მიზერული პენსია ქვეყნის ხელისუფლების მეთაურს გაუგზავნა. მალე პასუხად წერილი მიიღო, რომელშიც ეწერა:

– კიდევ გამოგვიგზავნეთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 6 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები
## ჩემი დღე

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი









## 7 ოქტომბრიდან
## ქართული ხალხური ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

მაგარი ყდა. ფერადი გვერდები


## რობერტო დი მატეო ასტონ ვილადან დაითხოვეს



იტალიელი სპეციალისტი რობერტო დი მატეო ასტონ ვილას მთავარი მწვრთნელი აღარ არის.

ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ასტონ ვილამ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო. გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ დი მატეო ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ის დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

11 ტურის შემდეგ ასტონ ვილა ინგლისის მეორე დივიზიონში მე-19 ადგილზე იმყოფება და გუნდს მხოლოდ ერთი მოგება აქვს.

ბირმინგემულ კლუბს ამჟამად თავის ისტორიაში ყველაზე მძიმე დროება უდგას. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება ასტონ ვილას ახალი მწვრთნელი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გაწყალებული ღვინო; 2. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 3. სპარსელი პოეტი; 5. მექსიკური სამეჯლისო ცეკვა; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. პრივილეგირებული მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 16. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 1. ქალაქი, ტბა, კანტონი შვეიცარიაში; 4. არაბეთის ზღვისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი სრუტე; 7. კომპიუტერული თაღლითი; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ტაივანის ისტორიული სახელწოდება; 12. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი, იტალიელი კომპოზიტორი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

